პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 დეკემბერი ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 293 (14897)



შეასრულეს ხუთწლედი

● თბილისი. (საკ. კორ.). № 1 წისქვილკომბინატის (დირექტორი ვ. ბებიაშვილი) კოლექტივმა ენერგიულად იმუშავა და ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადსა და თერთმეტ თვეში 102 პროცენტით გაანაღდა. აქ გეგმის გადამეტებით 19,5 ათასი ტონა ფქვილი და 24.693 ტონა პირუტყვის კომბინირებული საკვები გამოუშვეს. ფქვილის რეალიზაციის დავალება 103,6 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო პირუტყვის კომბინირებული საკვებისა — 106,7 პროცენტით. ზეგეგმითმა მოგებამ 469 ათასი მანეთი შეადგინა, შრომის ნაყოფიერება 10,1 პროცენტით გაიზარდა. დაზოგილია 16 ათასი მანეთის ელექტროენერგია.

კომბინატის კოლექტივი ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს საიუბილეო თარიღებს.

● თბილისი. (საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში თბილისის საკონდიტრო ფაბრიკა „მზიურის“ პროდუქცია მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. ფაბრიკის კოლექტივი ჩაება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვალდებულებებში პირველ პუნქტად ჩაწერილია პროდუქციის ხარისხის ამაღლება. კონდიტრები თავიანთ დაპირებას პირნათლად ასრულებენ. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ ხუთწლიანი გეგმა 4 დეკემბრისათვის შეასრულეს, გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 82 ტონა საკონდიტრო ნაწარმი და 145 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინეს, დაზოგეს 753 ათასი მანეთის მასალები და ნედლეული.

ფაბრიკის კოლექტივი სისტემატურად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს. აქ წლის ბოლოსათვის დიაბეტიკებისათვის გამოუშვებენ ორი სახის საკონდიტრო ნაწარმს.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან ბრიგადები, რომლებსაც ე. კორძაძე, ბ. მჭედლიძე და მ. კალმახელიძე ხელმძღვანელობენ.

● ქუთაისი. (საკ. კორ.). გუმათჰესის კასკადის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა როგორც ხუთწლედის, ისე მიმდინარე წლის დავალება. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია 81 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ენერგეტიკოსებმა წრომის ნაყოფიერება 5,5 პროცენტით აამაღლეს, გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება 1,1 პროცენტით შეამცირეს და ათასობით მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს. მარტო წლის თერთმეტ თვეში საკუთარ მოხმარებაზე 100 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს.

ციტრუსოვანთა ბაღებში

ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში წელს ციტრუსოვანთა ნაყოფის უსვი მოსავალია. მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის მიზნით მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 800 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 400 ტონისა.

სურათზე: მანდარინის კრეფა მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობაში (წინა პლანზე მარცხნიდან) — მოწინავე მუშები ვერა ვისოცკაია და ციალა აფხაზავა, რომლებიც დღეში კრეფენ ოთხას-ოთხას კილოგრამ მანდარინს ნაცვლად 200 კილოგრამისა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კომკავშირის საპატიო უბანი

საბჭოთა ახალგაზრდობის ყოველი თაობის წინაშე დრო აყენებდა თავის ისტორიულ ამოცანას, რომელთაგან იყო ერთი საერთო, ყველაზე მნიშვნელოვანი — ხალხის საკეთილდღეო შრომა.

ახლა, როცა საბჭოთა ეკონომიკა თავისი განვითარების ახალ ეტაპში შედის, პარტია დიდ იმედს ამყარებს ახალგაზრდობაზე, კომკავშირზე, როგორც თავის მებრძოლ თანაშემწეს და რეზერვზე.

და კომკავშირიც გაორკეცებული ენერგიით უპასუხებს მისდამი მშობლიური პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას. სად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის რომელ უბანზე არ შეხვდებით ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ისინი ამრავლებენ სოციალისტური სამშობლოს მიღწევებს, აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტებს იტაცებს შრომითი მამაცობის, ახალ აღმოჩენათა, ტექნიკურ სრულყოფათა და გამოგონებათა რომანტიკა.

როგორც ცნობილია, კომკავშირის XVI ყრილობამ კიდევ უფრო აამაღლა კომკავშირის როლი სკოლაში. აქედან გამომდინარეობს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა — აქტიურად დაეხმარონ განათლების ორგანოებს მოსწავლე ახალგაზრდობის მეცნიერული საფუძვლების მყარი ცოდნით შეიარაღებაში.

ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მესამე კომკავშირელი მოსწავლეა. ისინი შეადგენენ საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის საიმედო ცვლას. ამიტომ სავსებით გასაგებია ის დიდი ყურადღება, რასაც რესპუბლიკის კომკავშირი იჩენდა და იჩენს ახალგაზრდობაში კომუნიზმის აქტიური მშენებლის საუკეთესო თვისებების აღზრდისადმი.

ეს ერთხელ კიდევ ცხადყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ახლახან შემდგარმა IV პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი „მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.

ამ პლენუმზე ყოველმხრივ იგრძნობოდა, რომ რესპუბლიკის კომკავშირის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი შინაარსი იყო და იქნება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა.

ცნობილია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები მოითხოვს მოზარდი თაობის სწავლებისა და ცხოვრებისათვის მომზადების ხასიათის შეხამების შეცვლას. როგორც პლენუმზე აღინიშნა, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები განათლების ორგანოებთან ერთად წარმატებით წყვეტენ ამ ამოცანას. ისინი თავიანთ მთავარ საზრუნავს იმაში ხედავენ, რომ აამაღლონ მოსწავლეთა ცოდნა და დისციპლინა, იდეურ-პოლიტიკური შეგნება. ამ მიზნის ემსახურება სკოლებში შექმნილი უფროსკლასელთა კლუბები, სასკოლო მუზეუმები, კომკავშირული ლექტორიუმები, კულტურის უნივერსიტეტები, აგრეთვე რესპუბლიკური ოლიმპიადები და კონკურსები.

კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა აღზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელი.

სკოლასა და ინსტიტუტს, მოსწავლესა და მეცნიერს შორის სასიცოცხლო ძაფები გააბეს სასკოლო-სამეცნიერო საზოგადოებებმა, რომლებიც რესპუბლიკის ბევრ სკოლაში შეიქმნა.

თუ ბოლო ხანებში სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები პედაგოგიური კოლექტივების აქტიურ თანაშემწეებად იქცნენ მოსწავლეთა განთესვასთან და აკადემიურ ჩამორჩენილობასთან ბრძოლაში, ამაში თვალსაჩინო როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ლენინური ჩათვლა, რომლის დევიზია „ჩვენ ლენინისა და პარტიის საქმის ერთგულნი ვართ“ და რომელიც ახლა მომდინარეობს, განამტკიცებს ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას. პრაქტიკაში დამკვიდრდა მოსწავლეებში საზოგადოებრივი აქტივობის აღზრდის სხვა ფორმებიც.

ერთგვარად გამოცოცხლდა სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობა. კომკავშირული ორგანიზაციები ახლა მეტ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას და მათთან სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას.

„კომკავშირი — სოფლის სკოლას“ — ასეთი სახელი ჰქვია ორწლედს, რომლის მიზანს შეადგენს ახალგაზრდობის ლაშქრობა სოფლის კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა სოფლისა და ქალაქის კულტურული ურთიერთობა. კომკავშირული ორგანიზაციები ზრუნავენ სოფლის სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-სააღზრდელო პროცესის გაუმჯობესებისათვის.

კომკავშირს მუდამ თავის წმიდათა წმიდა საქმედ მიაჩნდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ზრუნვა. ამიტომ ახლაც ბევრგან მჭიდრო კავშირი დამყარდა საწარმოსა და სკოლას, კოლმეურნეობასა და სკოლას შორის. მაგალითად, წელს მარტო ზუგდიდის რაიონში შექმნილმა მოსწავლეთა 109 ბრიგადამ და 265 რგოლმა სახელმწიფოს ჩაბარა 8.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

უდავოა მიღწევები სწავლა-აღზრდის ყველა სფეროში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია თავსატეხი, დამფიქრებელი გარემოება.

საქმე ის არის, რომ ზოგიერთ სკოლაში კვლავ დიდია ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვი, ბევრი იმავე კლასში რჩება, ნაწილი კი სკოლას რვა კლასის დაუმთავრებლად ტოვებს.

ბევრია სკოლებში მეორეწლიანთა და სკოლასჩამოშორებულთა რაოდენობაც, განსაკუთრებით სოფლად და მთიან რაიონებში. ცოტაა სკოლისგარეშე დაწესებულებებში გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვი.

მთელი რიგი ქალაქები და რაიონები ვერ ასრულებენ სავალდებულო რვაწლიანი სწავლების გეგმას. ბევრგან ნაკლებად მუშაობენ ახალგაზრდობაში შრომითი ჩვევების დანერგვისათვის, სწორი პროფორიენტაციისათვის. ზოგან მოუგვარებელია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იგრძნობა კადრების ნაკლებობა.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, კომკავშირის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობს სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს. ამ მხრივ ზოგან სცოდავენ პარტიული ორგანიზაციებიც, რომლებსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობისათვის, მათი კომუნისტურად აღზრდისათვის. ამაზე მიუთითეს მაი პარტიის XXIII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში.

განა ერთი და ორი ფაქტის მოყვანა შეიძლება, რომ იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები, პარტიულნ კომიტეტები მუდმივ ყურადღებას აქცევენ და მიზანსწრაფულად წარმართავენ მოსწავლე კომკავშირელთა საქმიანობას, მათი მუშაობა ჩქეფს და მთელი სკოლაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს!

ამას წინათ დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებში. ამ კამპანიის შედეგად სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების სათავეში ბევრი ახალი ადამიანი მივიდა. ეს გარემოება გვავალებს მოვაწყოთ ახალარჩეული სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისა და მოადგილეების სისტემატური სწავლება, ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ პრაქტიკულ მუშაობაში.

აღზარდონ კომუნიზმის აქტიური მშენებლები — ეს კომკავშირული და პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, საპატიო საქმე!

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კ. რ. როდრიგესი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა 15 დეკემბერს მიიღო კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის მინისტრი ამხ. კ. რ. როდრიგესი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხ. კ. რ. როდრიგესს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ურთიერთობის, ყოველმხრივი განვითარების, ორი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების საკითხები, აგრეთვე ზოგიერთი ურთიერთსაინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემა.

საუბარმა გულთბილ, გულთად ვითარებაში ჩაიარა.

სწავლობენ პარტიული და საბჭოთა კადრები

15 დეკემბერს თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელ მუდმივმოქმედ კურსებზე დაიწყო მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთი თვის მეცადინეობას შეუდგნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა განთავისუფლებული მდივნები, მშრომელთა დეპუტატების სოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეები.

მეცადინეობის პერიოდში მსმენელებს წაუკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის ძირითად საკითხებზე, მეცნიერული კომუნიზმის, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საფუძვლებზე.

სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი უკავია პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხების შესწავლას. მოეწყობა აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობანი. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

2. დავავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს იმ მეურნეობებისა და ორგანიზაციების სია, რომლებიც გადაეცემა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გამგებლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 15 დეკემბერი.

ეთვარის მეორე დღის კვლევის პროგრამა წარმატებით სრულდება

18 დეკემბერს საკდესის კორესპონდენტმა შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრიდან გადმოსცა შემდეგი ცნობები ნეპტუნის ზღვის რაიონში „ლუნოხოდ-1“ ავტომატური აპარატის მუშაობის შესახებ. რადიო და სატელევიზიო კავშირგაბმულობის მორიგ სეანსში, რომელიც მიმდინარეობდა 12 დეკემბერს 18 საათიდან 22 საათსა და 27 წუთამდე მოსკოვის დროით, განხორციელდა თვითმავალი აპარატის შემდგომი წინსვლა. მთვარემავალი გადაადგილდა სამხრეთის მიმართულებით დასერილ ზედაპირზე. ავტომატური აპარატის მიერ გაკვალული ტრასის სხვადასხვა მონაკვეთზე წარმოებდა მანეგრირება და გადიდებული სიჩქარით ჩართვა. კავშირგაბმულობის მთელი სეანსის მანძილზე მთვარემავალმა გაიარა 253 მეტრი.

აპარატის გაჩერების შემდეგ დედამიწაზე გადმოსცეს მთვარის ზედაპირის ტელეფოტომეტრიული პანორამები.

„ლუნოხოდ-1“ თვითმავალი აპარატი მზის ბატარიებით ორიენტირებულია მზის მიმართულებით საბორტო ქიმიური წყაროების ენერგოკვების დასამუტებავად.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, მთვარემავლის ყველა სისტემა, აგრეგატი და ხელსაწყო ნორმალურად მუშაობს. საბჭოთა თვითმავალი აპარატის მოგზაურობა მთვარეზე წარმატებით გრძელდება.

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 14 დეკემბერი. „ლუნოხოდ-1“ ავტომატურ აპარატთან რადიო და სატელევიზიო კავშირის მორიგი სეანსი დაიწყო 18 დეკემბერს 19 საათზე მოსკოვის დროით. მთვარემავალი განაგრძობდა მოძრაობას სამხრეთისაკენ და დედამიწაზე გადმოსცემდა მთვარის ზედაპირის ტელეგამოსახულებებს, მეცნიერულ ინფორმაციას და ტელემეტრიულ მონაცემებს ბორტის სისტემების მდგომარეობის შესახებ.

იმისათვის, რომ მიეღო მთვარის ლანდშაფტის წრიული პანორამები, „ლუნოხოდ-1“ ბევრჯერ შემოტრუნდა და დროდადრო იცვლიდა მიმართულებას. კერძოდ, ავტომატური აპარატი მიუახლოვდა ერთ-ერთ კრატერს, რამაც სპეციალისტ-სელენოლოგთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ტელეფოტომეტრიული პანორამული გამოსახულებებისა და სტერეოსკოპული სურათების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ეს კრატერი შედარებით „ახალგაზრდაა“, მისი რელიეფი მკვეთრად გამოსახულია.

12 და 13 დეკემბერს განხორციელებული კავშირის სეანსების დროს მთვარემავლის რადიომეტრმა აღრიცხა კოსმოსური გამოსხივების კორპუსკულარული ნაკადის — ალფა-ნაწილაკებისა და პროტონების ინტენსივობის ზრდა. სეანსებს შორის პერიოდში გამოსხივება რამდენიმე ათეულჯერ გაიზარდა. კორპუსკულარული ნაკადის ინტენსივობის ზრდა აღნიშნა „ვენერა-7“ ავტომატური საბლანეტათშორისო სადგურის აპარატურამაც. ასეთი მოვლენა გამოიწვია მზეზე მომხდარმა მძლავრმა ქრომოსფერულმა აფეთქებამ, რომელიც 10 დეკემბერს აღრიცხეს დედამიწის ასტრონომიულმა ობსერვატორიებმა.

13 დეკემბრის კავშირის სეანსის დამთავრების მომენტისათვის მზე მთვარის ჰორიზონტზე იდგა 40-ზე მეტი გრადუსით მაღლა. სითბოს ნაკადები მთვარის ზედაპირზე და მთვარემავლის კორპუსი მნიშვნელოვნად გადიდდა, მაგრამ ავტომატური აპარატის ხელსაწყოთა ნაკვეთურში შენარჩუნებულია ატმოსფერუს 15 გრადუსი ტემპერატურა ცელსიუსით. ნაკვეთურში წნევა შეადგენს ვერცხლისწყლის სვეტის 750 მილიმეტრს.

მთვარეზე მუშაობის მთელი დროის განმავლობაში „ლუნოხოდ-1“ აპარატმა გაიარა 825 მეტრი და ამჟამად იმყოფება დაახლოებით 600 მეტრ მანძილზე დასაჯდომი საფეხურიდან.

14-დან 16 დეკემბრამდე მუშაობის პროგრამის შესაბამისად მთვარემავლის მოძრაობა არ არის გათვალისწინებული. ამ პერიოდში განხორციელდება მეცნიერული კვლევა. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-386“

1970 წლის 15 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაშვებულია დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-386“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამომთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

მაღალი ჯილდო

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სამრეწველო წარმოების განვითარების და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მშრომელების მიერ მიღწეული დიდი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 11 დეკემბრის ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოვა ქალაქი ზაპოროჟიე.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სამრეწველო წარმოების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მშრომელთა მიერ მიღწეული დიდი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 11 დეკემბრის ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოვა ქალაქი ულიანოვსკი. (საკდესი).

მაღლობა საბჭოთა კავშირს

უარაჩი. 15 დეკემბერი. (საკდესი). დაკაში ჩამოვიდა საბჭოთა ხატრანსპორტო თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიტანა მედიკამენტები სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული ალმოსავლეთ პაკისტანის მოსახლეობისათვის.

დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის საკითხთა კომისარმა შამსულ ალამმა, რომელსაც გადასცეს საბჭოთა მედიკამენტები, ჟურნალისტებს განუცხადა: „მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას დახმარებისათვის, რომელიც გაუწიეს ალმოსავლეთ პაკისტანში მომხდარი სტიქიური უბედურების მსხვერპლთ. ეს ფესტი მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა კავშირისა და პაკისტანის ხალხთა მეგობრობას“.

რეაქციონერთა პოლიციკის წინააღმდეგ

დელი. 15 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის პარლამენტის დეპუტატი ინდოეთის ცენტრალური მთავრობის ყოფილი წევრი მანუბჰაი შაჰი გავიდა მემარჯვენე კონგრესისტთა დაჯგუფების — „კონგრესის ორგანიზაციის“ რიგებიდან.

მანუბჰაი შაჰმა, რომელიც კონგრესის მემარჯვენე ფრთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ნებიჯი უნდა მიიჩნიონ „კონგრესის ორგანიზაციის“ იმ ხელმძღვანელობის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტად, რომელმაც აიღო ინდოეთის რეაქციის ისეთ პარტიებთან პირის შეკვრის კურსი, როგორიც არიან „ჯან სანგჰი“ და „სვატანტრა“.

ჩილე და ბოლივია შეთანხმდნენ

ლა-პასი. 15 დეკემბერი. (საკდესი). ჩილემ და ბოლივიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომ ერთობლივად გაიყვანენ რკინიგზას ბოლივიის ქალაქ ორუროდან ჩილეს ნავსადგურ იკიკემდე. ეს ხელშეკრულება პირველი ღონისძიებაა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესებაში, ქვეყნებისა, რომლებმაც დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს 1962 წელს მდინარე ლაუკის წყლით სარგებლობის უფლების შესახებ დავის გამო.

მეგობრობა და თანამშრომლობა

კაირო. 15 დეკემბერი. (საკდესი). „მეგობრობა და თანამშრომლობა საერთო მიზნების მიღწევისათვის — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა კაიროს გაზეთმა „ალ-აჰრამმა“ სარედაქციო სტატია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ვიზიტს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ანდელ მოჰსენ აბუ ან-ნურის მეთაურობით არაბთა სოციალისტური კავშირის დელეგაციის ახლანდელი მოლაპარაკება, — წერს გაზეთი, — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის გულწრფელი თანამშრომლობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა შემთხვევითი ან წარმავალი როდია. მას საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა ორი ქვეყნისა, რომლებსაც აქვთ საერთო მიზანი — ბრძოლა იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ“.

საბჭოთა კავშირმა, აღნიშნავს გაზეთი, მორალური და მატერიალური მხარდაჭერა გაუწია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას.

მემარცხენე ძალების ერთიანობისათვის

სანტიაგო. 15 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ჩილეს კომუნისტური პარტიის ახალი წევრებისათვის პარტიული ბილეთების გადაცემას.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა. შეეხო რა ჩილეს ახალი მთავრობის საქმიანობას, მან აღნიშნა მისი სახალხო და დემოკრატიული ხასიათი და მოუწოდა ჩილელ კომუნისტებს ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მთავრობას პროგრესულ გარდაქმნათა პროგრამის შესრულებაში. წარმატების ძირითადი საწინდარია, ხაზგასმით აღნიშნა ლ. კორვალანმა, ხალხის ერთიანობა, მთელი მემარცხენე ძალების შეკავშირება და ორგანიზებულობა.

მოშე დაიანი ამერიკულ „სამზარეულოში“, ნახ. რ. სანადირაძისა.

საგარეო ვაჭრობის დეფიციტი

ლონდონი. 15 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბალანსი ნოემბერში დამთავრდა 16 მილიონი გირვანქა სტერლინგი დეფიციტით. საშუალოდ უკანასკნელ ნახევარ წელიწადში საგარეო ვაჭრობის ყოველთვიური დეფიციტი შეადგენდა 7 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

მონაცემები დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისა და ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“, შემფოთებასა და დაბნეულობას იწვევს საქმიან წრეებში.

როგორც აღნიშნულია ბრიტანეთის სავაჭრო პალატების ასოციაციის მიმოხილვაში, რომელსაც დღეს პრესა აქვეყნებს, ბიზნესმენთა დაახლოებით ნახევარს მიაჩნია, რომ შემდგომ ოთხ თვეში ინგლისის ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდება.

პარტიულ კონფერენციებზე

ეს იყო 12 დეკემბერს. დელეგატები, სახელოვანი ადამიანები დათოვლილი მთებიდან თუ ბარიდან ჩამოვიდნენ ცხაკაიაში, შეეკრიბნენ სახალხო თეატრის შენობაში და რაიონული პარტიული კონფერენციის დაწყებამდე სპობაასი ჰკონდათ თავიანთ მუშაობაზე, პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოს საიუბილეო თარიღების ღირსეულად შეხვედრის შესახებ.

პარტიული კონფერენციის დაწსწრე 441 დელეგატი მრავალრიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან. მათს შემადგენლობას ამშვენებენ კომუნისტურ შრომაში წარჩინებული ადამიანები — სოციალისტური შრომის გმირები — მეჩაიეები ტატიანა ტყებუჩავა, თამარ გოგინავა, ზანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. კუპრეიშვილი, ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ნ. გაგუა, სოციალისტური შრომის გმირი მ. საბახტარაშვილი, ათობით ლენინის ორდენოსანი და სხვა მაღალი ჯილდოებით მკერდდამშვენებული ადამიანები.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების მიერ გაწეულ მუშაობაზე, მოპოვებულ წარმატებებსა და ჯერ კიდევ არსებულ ჩრდილოვან მხარეებზე პრინციპულად ლაპარაკობდნენ მომხსენებელი — პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი რ. ხოფერია და კამათის მონაწილენი.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის მთავარი უბანი იყო და არის მეჩაიეობა, აგრეთვე სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები. ამიტომ კონფერენციაზე ფართოდ ითქვა მეჩაიეთა შრომითს შედეგებზე. მათ წლიური გეგმის შესრულება 27 ივლისისათვის უპატაკეს სამშობლოს. გეგმის გადამეტებით ასობით ტონა ჩაის ფოთოლი მოიკრიფა, ხოლო ხუთი წლის მანძილზე ცხაკაიელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 26.114 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით წარმოებულია 5 ათას ტონაზე მეტი ნედლეული. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4.495 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. 1965 წელთან შედარებით საშუალო მოსავლიანობა 1.491 კილოგრამით გაიზარდა.

ამ წარმატებებს ქმნიდნენ მეჩაიეთა ძველი და ახალი გვარდიის შესანიშნავი წარმომადგენლები — კომუნისტები და უპარტიოები.

ქებით მოიხსენიეს ფოცხოელი მეჩაიეები, რომელთა გარჯით კოლმეურნეობაში ჩაის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 6.630 კილოგრამს მიაღწია. კონფერენციის ტრიბუნიდან მაღალი შეფასება დაიმსახურეს უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“, გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიეებმა, რომელთა შრომის ავანგარდში კომუნისტები იდგნენ.

ჩაის საკრეფი მანქანების მექანიზატორებმა დავალება 120 პროცენტით შეასრულეს. ამასთან ერთად გაკრიტიკებულ იქნა მთელ რიგ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები, ცალკეული კომუნისტები, რომლებიც ვერ უჩვენებენ ავანგარდულ როლს. ამის შედეგია, რომ თეძლათის კალინინის, ჭაკვაკაძის სახელობისა და ნაქალქევის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე 3.300-3.800 კილოგრამს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 3.000 კილოგრამზე ნაკლებ ჩაის ნედლეულს იღებენ. ასეთ დაბალ კილოგრამს მიაღწია. კონფერენციის ტრიბუნიდან ითქვა სიმინდის, დაფნის, ხილის, ყურძნის, ციტრუსების, ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდებაზე, ამ საქმეში ჩამორჩენის დაძლევის გზებზე. წლების მანძილზე დაბალი იყო სიმინდის მოსავლიანობა. 1966 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 5,6 ცენტნერი სიმინდი, 1967 წელს — 9,1 ცენტნერი, 1968 წელს — 10,5 ცენტნერი, 1969 წელს — 13 ცენტნერი, ხოლო წელს მოსავლიანობა 15 ცენტნერი იყო და გადაჭარბებით შესრულდა მოსავლიანობის დავალება. განსაკუთრებით აღინიშნა ის, რომ არც ერთ წელს არ შესრულებულა ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების დავალება. ეთერზეთების კოლხიდის ქარხანა-მეურნეობამ საშობლოს დააკლო 500 ტონა ნედლეული.

— მართალია, წელს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა უკვე 172,9 პროცენტით, ძროხისა კი 107,5 პროცენტით შესრულდა, — თქვეს მოკამათეებმა, — მაგრამ მეცხოველეობის რენტაბელობისათვის კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. აუცილებელია მექანიზაციის დონის ამაღლება. ჯერ კიდევ გადაუჭრელია მეცხოველეობის რენტაბელობის საკითხი. ეს დარგი წაგებით იგეგმება. უნდა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ახალ ხუთწლედში მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად გადავაქციოთ.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების შრომისა და ცხოვრების, საწარმოების მუშაობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის, მშენებლობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების როგორც მიღწევებზე, ისე ნაკლოვანებებზე ვრცლად ილაპარაკეს დელეგატებმა: რ. კუპრავამ (ხალიჩების კომბინატის დირექტორი), ხ. იოსელიანმა (ცენტრალური საავადმყოფოს პარტიბიუროს მდივანი), აკ. განგიამ (შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი), კ. შარტავამ (განათლების განყოფილების გამგე), აგრეთვე ვ. კალჩანოვმა, მ. აბშილავამ, ა. სირიამ, ნ. გაგუამ, ს. გოგინავამ, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ფ. კუჭავამ. კონფერენციის დელეგატები მოწონებით შეხვდნენ ხალიჩების კომბინატის მოწინავე მქსოველის ახალგაზრდა კომუნისტის ნ. ბირკაიას გამოსვლას.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო პარტიულ-ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა კრიტიკას.

დელეგატებმა მთელი პირდაპირობით ილაპარაკეს იმაზე, რომ რაიონში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო კანონიერებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების უხეშად დარღვევის ფაქტებს. პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთი ყოფილი ხელმძღვანელი უშვებდა შეუწყნარებელ შეცდომებს, ზოგჯერ დანაშაულსაც, რამაც, ცხადია, სერიოზული ზიანი მიაყენა რაიონის პარტიულ ორგანიზაციას. ცხადია, წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, ასეთ მდგომარეობას ადგილი რომ არ ჰქონოდა.

ბოლო ხანებში რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. კომუნისტებმა სწორად გაიგეს და შეაფასეს შექმნილი ვითარება, აქტიურად ჩაებნენ უხეშად დარღვევების შედეგების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. საგრძნობლად შემცირდა სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების დატაცების ფაქტები, მეტი ყურადღება ექცევა მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებზე გამოხმაურებას. გაძლიერდა მომთხოვნელობა კადრებისადმი. კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელისათვის მარტო მიმდინარე წლის 10 თვეში პარტიის რიგებიდან გაირიცხა 17 კაცი.

ეს ფაქტები მეტყველებენ, რომ საჭიროა შემდგომ გაძლიერდეს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა სიფხიზლე, რათა მტკიცედ იქნას დაცული კადრების შერჩევის, აღზრდისა და დაწინაურების ლენინური პრინციპები, სოციალისტური კანონიერება, პარტიის წესდების მოთხოვნები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ცხაკაია.

ნ. ჯანჯღავა,
ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ᲡᲣᲗᲮᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲘ

ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲛᲔᲣᲨᲐᲮᲜᲔ

ე. ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲐ, ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲫᲘᲐ



ᲪᲣᲪᲮᲕᲐᲗᲔᲚ ელგუჯა ობოლაძის შრომითს არენაზე გამოსვლა არ გახსნელებია. საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. იქ სანიმუშოდ იმსახურა და როცა ვალმოხდილი შინ დაბრუნდა, მშობლებს განუცხადა:

— გადავწყვიტე მეშახტე გავხდე, ტყიბულის შახტებში სამუშაოდ მივდივარ.

ლენინის სახელობის შახტში ახალგაზრდას გულთბილად შეხვდნენ.

— რა სპეციალობა უფრო გაინტერესებს? — ჰკითხა ელგუჯას შახტის უფროსმა.

— მინდა მნგრეველი გავხდე, — იყო პასუხი.

გავიდა წლები. ე. ობოლაძე კარგად დაეუფლა სამთო საქმეს, ქვანახშირის ნგრევის ოსტატი გახდა და მალე მეხუთე თანრიგი მიანიჭეს. ღირსიც იყო, ახალგაზრდა მეშახტე ძველ, გამოცდილ თანამოსაგრეებს როდი ჩამოუვარდებოდა. ახლაც ყველაზე რთულ მიწისქვეშა სანგრევში გზავნიან, ანდობენ ისეთ ძნელ და პასუხსაგებ საქმეს, როგორიც არის ლავის დაბურღვა, გამონაშუშვრის ჭერის გადამაგრება, აღმავალი სამთო გამონაშუშვრების გაყვანა. სწორედ ამიტომ შეიყვარა იგი მეშახტეთა მთელმა კოლექტივმა.

შახტის ადმინისტრაცია როდი შეცდა, როცა ასეთ ახალგაზრდა სამთოელს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელობა დაკისრა. ამ პოსტზე მან სრულად გამოავლინა თავისი ორგანიზატორული უნარი და ვაუკაცური შემართება. ბრიგადამ მალე კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელი მოიპოვა.

სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის მოახლოებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ბრიგადაში. ე. ობოლაძე შრომითს ვახტზე რომ დადგა, გადაწყვიტა მაქსიმალურად გამოიყენოს სამუშაო დრო და მკვეთრად გაზარდოს სათბობის მოპოვება. მან შეიმუშავა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების ახალი მეთოდი. წუთს არსად არა აქვს ისეთი ფასი, როგორც სანგრევში.

სანგრევში დროის დაზოგვის ერთ-ერთი რეზერვია ბურღვაფეთქებითი სამუშაო პროცესების ზედმიწევნით დაუფლება. ე. ობოლაძეს, როგორც წესი, სანგრევში ჩასვლისას პირველად სამუშაო იარაღები მოჰყავს წესრიგში. იგი გულდასმით ამოწმებს შეკუმშული ჰაერით მომუშავე ბურღის ვარგისიანობას. ხშირად ხდება, რომ ბურღი მუშაობს, მაგრამ მისი წარმადობა დაბალია. ასეთ შემთხვევაში ბურღის მბრუნავი ნაწილები დამტვერიანებულია, აკლია საპობი ნივთიერება. საჭიროა ბურღის კარგად დაპოხვა, ამით დიდდება ბურღის წარმადობა, ჩქარდება შპურის გაჭრა, სანგრევის ახალფეთქებლად მომზადება.

შპურების ჩქარი გაჭრა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მდგომარეობაშია საბურღი შტანგის საჭრისი. თუ იგი ბლაგვი და გაცვეთილია, შპურის გაბურღვას მნგრეველი 3-4 წუთი უნდება. გალესილი საჭრისი კი შპურის გაჭრას 1-1,5 წუთით ნაკლებს ანდომებს. თითქოს ერთი-ერთნახევარი წუთი დროის უმნიშვნელო მონაკვეთია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მნგრეველი ცვლაში ჭრის 30-მდე შპურს, ე. ი. ე. ობოლაძე ცვლაში სულ ცოტა 30-45 წუთს იგებს.

ლენინის სახელობის შახტის მიწისქვეშა ჰორიზონტებზე წმენდითი სანგრევის ასამდე მუშა მუშაობს. თუ თვითეული მათგანი ე. ობოლაძის გამოცდილებას გამოიყენებს, ქვანახშირის მოპოვების საქმე დიდად მოიგებს: ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით ამოღებული იქნება ასობით ტონა სათბობი.

ამ დღეებში ნოვატორ მეშახტესთან შახტის პარტიულ კომიტეტში გულღია საუბარი ჰქონდათ. საუბარი შეეხებოდა კომპლექსური ბრიგადის საქმიანობას, მუშაობაში სიახლეებისა და მოწინავე მეთოდების დანერგვას.

— ჩვენმა ბრიგადამ, — თქვა ე. ობოლაძემ, — ხუთწლედის დავალება ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში გაანადღა. ამჟამად ხუთწლედის გადამეტებით მოპოვებული გვაქვს 28 ათას ტონაზე მეტი „შავი ოქრო“. წლის ბოლოდან დარჩენილ დღეებში დამატებით კიდევ 800 ტონა სათბობს ამოვიღებთ. ეს ჩვენი შრომითი სიმარჯვისა იქნება საიუბილეო თარიღებისადმი.

პირადი დროის რაციონალურად გამოყენების ობოლაძისეულმა მეთოდმა ლენინის სახელობის შახტში ბევრი მეშახტე დააინტერესა. ამან ენთუზიაზმი შეიტანა კოლექტივს, რომელიც ახლა გადაჭარბებით ანადღებს სახელმწიფო დავალებებს. ამიტომ არის, რომ მოწინავე სამთო საწარმომ ამ დღეებში გადასინჯა ადრე ნაკისრი ვალდებულებანი და გადაწყვიტა მიმდინარე წლის სახელმწიფო დავალება შეასრულოს ვადაზე ადრე, ხოლო ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღოს 10.000 ტონა საკოქსე ქვანახშირი.

როცა მეშვიდე საექსპლოატაციო უბნის უფროსი თავის კოლექტივის წევრებზე ლაპარაკობს, ე. ობოლაძეს ყოველთვის მოწინავეთა რიგებში ასახელებს.

— მეშახტის შრომა მძიმეა, — ამბობს იგი, — მიწის წიაღი თავის სიმდიდრეს მხოლოდ ძლიერ და მამაც ადამიანებს აძლევს. ასეთი ადამიანები ჩვენს უბანში ცოტანი როდი არიან. ე. ობოლაძე ერთ-ერთი მათგანია — ხუთწლედის გმირი.

...როგორც კი ინათებს, ამბავურდება ლენინის სახელობის შახტის მიდამოები, სანგრევისაკენ მიდის პირველი ცვლა. მეშახტეები, როგორც მამაცი მეომრები, ქვანახშირის საუკუნოვან ფენებზე საიერიშოდ ეწაადებიან. იმ შეუდრეკელ მოიერიშეთა პირველ რიგებშია ელგუჯა ობოლაძეც.

Ზ. ᲪᲘᲠᲘᲥᲘᲫᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲒᲔᲒᲛᲝ-ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

ამ დღეებში მომდინარეობს აქტიური მზადება საქართველოს სსრ მემდეგი მოწვევის უმაღლეს საბჭოს მერვე სესიისათვის, რომელიც განიხილავს 1971 წლის გეგმასა და ბიუჯეტს.

1971 წელს — სკკპ 24-ე ყრილობის წელს — იწყება ახალი, მეცხრე ხუთწლედი. ამ ხუთწლედში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წარმატებითი სტარტი ბევრად დამოკიდებულია 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის სიზუსტეზე, მეცნიერულ დასაბუთებასა და ყოველმხრივ კოორდინირებაზე. დეპუტატები, რომლებიც ემზადებიან რესპუბლიკის სელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიისათვის, საგულდაგულოდ განიხილავენ გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების ძირითად მონაცემებს, ამოწმებენ შეესაბამება თუ არა ისინი მაგისტრალურ მიმართულებებს, რომლებიც დაგვისახეს სკკპ 23-ე ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, სსრ კავშირის საადალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონებმა, რომლებიც მიიღო სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე გამოიყო დარგობრივი ქვეკომისიები. ამ ქვეკომისიების თავმჯდომარეებად დაამტკიცეს დეპუტატები პ. გელბახიანი, ნ. ბერიძე, ზ. ჯაფარიძე, ო. აბესაძე.

ქვეკომისიებში გრძელდება მუშაობა 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის სრულყოფისათვის.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე ფ. ანანიაშვილი.

(საქ. ფსი).

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თერჯოლა. აქ გაიმართა ახალარჩეული პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარი. მოხსენება თემაზე „პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ და საქართველოს კპ XXIV ყრილობებისათვის მზადების საქმეში“ გააკეთა პარტიის თერჯოლის რაიკომის მეორე მდივანმა ვ. ხუჯაძემ.

მოსმენილ იქნა აგრეთვე საუბრები „პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დაგეგმვა, პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების მომზადებისა დ. ჩატარების პრაქტიკა, მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაცია“ და სხვა საკითხებზე.

ვ. კუტალაძე.

ᲛᲚᲕᲠᲘᲔ ᲓᲘᲜᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲔᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ შემოგვიერა ხმა დაარხა: — იასონი, ჩვენი იასონი დაუჭრიათ!

— უშველეთ, ადამიანებო, მეურნეობის დირექტორი გვეღუპება! — შეშფოთებული გარბოდნენ ბაღ-ვენახებისაკენ.

ბოროტმოქმედ ბ. მაისურაძეს კი ხელში ხანჯალი ეჭირა და ღრიალებდა: სულ ერთია, სიცოცხლეს გამოვასალმებ, ბაღი მეურნეობისა კი არა, ჩემიაო.

იასონ ქრისტესიაშვილს თურმე უბეში რამდენიმე ცალი დაკეცილი გაზეთი ეწყო. ამიტომ მთელი ძალით დარტყმულმა ხანჯალმა გულამდე ვერ მიაღწია. სიკვდილს შემთხვევით გადარჩა.

ამ საქმესთან დაკავშირებით რედაქციაში შემოსული წერილის პასუხად საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა გვაცნობა, რომ „ბ. მაისურაძემ მისი გარდაცვლილი დის ნაკვეთი თვითნებურად მითვისა. აღნიშნული ნაკვეთი საბჭოთა მეურნეობის მფლობელობაში გადავიდა, რაზედაც არსებობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომისიის დასკვნაც. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, ბ. მაისურაძე კვლავ შეეცადა აღნიშნულ ნაკვეთში ახალი მოსავალი აეღო.

და როცა მეურნეობის დირექტორმა მას აუკრძალა საერთო სახალხო ქონების მიტაცება, მაისურაძემ ჭრილობა მიაყენა, რისთვისაც დამნაშავე დაპატიმრებულია“.

ბ. მაისურაძე ადრეც იყო გასამართლებული მსგავს საქმეზე, მაგრამ ადვილად დაიძვრინა თავი. და, რახან ერთხელ შერჩა ბოროტმოქმედება, გათამამებულა უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

ამ მეურნეობაში შესაბამისი საგამომძიებლო ორგანოების წაყრუების შედეგად ხელ-ფეხი გაეხსნათ სხვა დამნაშავეებსაც.

აი მაგალითი... 1967 წლის მოსავლის აღების ცხარე დღეები იდგა. მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა, მინდვრად იყო გასული. უხვი ლოობა ჰქონდათ, მაგრამ უცბად კოკისპირული წვიმა მოვიდა.

ღამით მოვარდნილმა ნიაღვარმა კალოდან 120 ტონა პური მოიტაცა, ხორბალი მინდორს მოეფინა. მთელი სოფელი თავდადებით ებრძოდა სტიქიას, რომ ხორბალი გადაერჩინათ.

მაგრამ სულ სხვას ფიქრობდა მეურნეობის ყოფილი საწყობის გამგე სულიკო მიდოდაშვილი. ნათქვამია, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. იგი თავისებურად დატრიალდა...

თუ რა გააკეთა მან, ამის შესახებ აი რას გვწერს ცხინვალის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი გ. ბესთაევი.

„1968 წლის მარტში, რაიონის პროკურატურიდან გადმოგზავნილ იქნა მასალები, რომლებიც ერედვის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი საწყობის გამგის სულიკო ივანეს-ძე მიდოდაშვილის „საქმიანობას“ ეხებოდა. მან 1967 წლის მოსავლის აღების დროს, წყალდიდობის შემდეგ, ბოროტად გამოიყენა თანამდებობრივი მოვალეობა, სარეალიზაციოდ გაატანა სხვას 4000 კილოგრამი ხორბალი, გაყიდა და საბჭოთა მეურნეობის სალაროს მხოლოდ 3000 კილოგრამი ხორბლის ღირებულება ჩაბარა. როცა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მიდოდაშვილმა ციფრი 4000 გადასწორა 3000-ად. ერთი ტონის ღირებულება კი სალაროში არ შეიტანა.

გარდა ამისა, ხ. მიდოდაშვილმა საწყობიდან წაიღო მეურნეობის ავტომანქანის ძრავი და თავის საკუთარ მსუბუქ ავტომანქანას დაუყენა.

მიუხედავად „ამისა ს. მიდოდაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე რაიონის პროკურორის მიერ შეწყვეტილ იქნა.

მეურნეობის დირექტორის ი. ქრისტესიაშვილის მტკიცე მოთხოვნით (მან ს. მიდოდაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვლევა-ძიებაზე აცილება მისცა სამხრეთ ოსეთის საოლქო პროკურატურას) ამ საქმეში რესპუბლიკის პროკურატურა ჩაერია. საგამომძიებლო განყოფილ ბ ი ს უფროსის მოადგილემ ს. ტვილდიანმა ეს საქმე გორის რაიონის პროკურატურას გადასცა. მაგრამ ს. მიდოდაშვილი არც აქ დაბნეულა. გორის რაიონშიც სწრაფად მონახა მეგობრები. შედეგად რაიონის პროკურორის თანაშემწემ გ. ნადირაშვილმა მიდოდაშვილის ნაცვლად ძირითად ბოროტმოქმედად მეურნეობის ბრიგადირი ნ. ბერუაშვილი გამოიყვანა.

ამის შემდეგ რესპუბლიკის პროკურატურიდან ს. ტვილდიანი მეურნეობის დირექტორს ი. ქრისტესიაშვილს სწერს: „გაცნობებთ, რომ თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილეთ და თქვენი მეურნეობის ყოფილი საწყობის გამგის ს. მიდოდაშვილის ბრალდების საქმეზე გამოძიება აცდა გორის რაიონის პროკურატურას და დაექვემდებარა ქალაქ გორის პროკურატურას“.

გადაიფურცლა კალენდრის კიდევ რამდენიმე კვირა.

1970 წლის თებერვალში გორის საქალაქო პროკურატურის გამომძიებელი ნ. თევზაძე ქალაქის პროკურორის ვ. ხირსელის დასტურით წერს საბრალდებლო დასკვნას, რაშიც ძირითადად აისახა ს. მიდოდაშვილისა და ბრიგადირ ნ. ბერუაშვილის დანაშაული.

საქმე განსახილველად ჯავის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაეცა. სახალხო მოსამართლემ ა. კაპანაძემ თავისებური კონსულტაცია ამავე რაიონის მოსამართლე დ. გუზიტაშვილისაგან მიიღო, ეს ის გუზიტაშვილია, რომელმაც ადრე ს. მიდოდაშვილი საშუალოზე ხელიღებით აღადგინა და ორი თვის ხელფასიც მიაღებინა. და ეს ხდება მაშინ, როცა ს. მიდოდაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის ძიება დამთავრებული არ იყო. არავინ იცოდა მისი საბოლოო ბედი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ს. მიდოდაშვილის მოხსნა სწორად იქნა მიჩნეული. სახალხო მოსამართლემ ა. კაპანაძემ კი მეტად საეჭვო „გულჩვილობა“ გამოიჩინა და საქმე წარმოებით მოსპო.

ჯავის რაიონის პროკურორმა თ. კუულუმბეგოვმა ოლქის პროკურატურის მითითების საფუძველზე აღნიშნული განაჩენი გააპროტესტა.

სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლო (თავმჯდომარე ვ. კაჩანოვი) რატომღაც მაყურებლის როლში გამოვიდა, თითქოს მხოლოდ შემოსული საქმის გადაგზავნ-გადმოგზავნა ეხებოდეს.

სამი წლის მანძილზე პროკურატურა-სასამართლოებში ხეტიალმა ეს საქმე ისე გაზარდა ახალ-ახალი ცნობებით, მიმართვებით, რომ ხუთ ტომად გადაიქცა.

ერთ დროს ეს საქმე აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოშიც მოხვდა. აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კი ს. მაკარაძის თავმჯდომარეობით ს. მიდოდაშვილის საქმეზე ჯავის რაიონის პროკურორის პროტესტი არ გაიზიარა.

ბოლოს საქმე ოსეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს მიეცა. ეს ინსტანციაც ერთხელ ამოწმა თავი. სამხრეთ ოსეთის საოლქო პროკურატურამ (პროკურორი შ. ბასიშვილი) საქართველოს სსრ პროკურატურის წინაშე დააყენა საკითხი ჯავის სახალხო სასამართლოსა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ. ამავე წარდგინებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ამ საქმის გამოძიება შესრულებულია უხარისხოდ. (კარგი იქნებოდა, რომ საოლქო პროკურატურას თავიდანვე როცა ს. მიდოდაშვილის შესახებ პირველადი მასალები შ ე ვ ი დ ა ცხინვალის რაიონის პროკურატურაში, ასეთივე პოზიცია დაეკავებინა).

საბოლოოდ საქმეში ჩაერია საქართველოს სსრ პროკურატურა. მან არასწორად მიიჩნია როგორც ჯავის სახალხო სასამართლოს, ისე აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ს. მიდოდაშვილის საქმის გამო...

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქ ცხინვალში პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა საოლქო თათბირი მოიწვია. თათბირზე იასონ ქრისტესიაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა გორისა და ცხინვალის რაიონების პროკურატურის მუშაკები ს. მიდოდაშვილის საქმის უხარისხოდ გამოძიებისა და უზომოდ გაჭიანურებისა გამო. ი. ქრისტესიაშვილი ასეთივე კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდა ცხინვალის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზეც.

მაგრამ კომუნისტ ი. ქრისტესიაშვილის შენიშვნა ამჟერადაც უყურადღებოდ დარჩა. ასევე უყურადღებოდ არის დატოვებული სხვადასხვა ორგანოებში ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექციის მიერ საბოლოოდ მოგუმენტებიდან წარდგენილი ცნობა-საჩივარი, რომლიდანაც ჩანს, რომ ს. მიდოდაშვილზე დღემდე ირიცხება 18 ტონა ხორბლის დავალიანება.

ერედვის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთა მუშაობაშიც არის ჩრდილოვანი მხარეები. სამხრეთ ოსეთის პროკურატურაში, ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში მრავალი განცხადება და ნარკვევი მასალებია იმის შესახებ, რომ თვით მეურნეობის დირექტორი ი. ქრისტესიაშვილი ზოგჯერ ზედმეტ სიმკაცრეს იჩენს.

დროა ოლქის სასამართლო-პროკურატურის ორგანოების და ერედვის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ არსებითად იმსჯელოს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა.

ა. გოცირიძე,
ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐᲢᲘᲓᲐᲜ

● **ᲮᲣᲚᲝ.** რაიონულ კულტურის სახლში მოეწყო კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელთა ორდღიანი სემინარი.

სემინარზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის რაიკომის მდივანი ნ. აბულაძე, ხულოს საშუალო სკოლის დირექტორი ი. შავაძე, რაიონული კულტურის სახლის დირექტორი ს. თავართქილაძე.

კულტურის დარგის მუშაკებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება.

ა. ჯაფარიძე.

● **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** მანქანათსამშენებლო ქარხანამ აითვისა ფართო მოხმარების საგნების სერიული წარმოება. ეს არის სადარბაზო შესასვლელი კარების სახელურები, ცხვადასხვა სუვენირები და სამკერდე ნიშნები. პროდუქციის რამდენიმე პარტია უკვე გაეგზავნა მომხმარებლებს — ვოროშილოვგრადის, იაროსლავლის, კოსტრომის და სხვა ქალაქების ხალვაჭრო ორგანიზაციებს.

ი. ᲥᲐᲕᲘᲢᲘᲜᲘᲫᲔ.

● **ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.** ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ყარაჯალის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის კლუბი. საკლუბო მუშაობაში ფართოდ არის ჩაბმული სოფლის ინტელიგენცია, მუშა ახალგაზრდობა.

ვ. აბორიფის ხელმძღვანელობით მოეწყო საინტერესო საღამო-კონცერტი, რომელმაც მაყურებელთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

უ. ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲐᲠᲝᲕᲘ.

● **ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ.** მდინარე წყალწითელაზე აიგო და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საავტომობილო ხიდი, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა სოფლები ბუეთი, ძუყნური და ლეღვა.

ახალი ხიდის მშენებლობის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო ბუეთის კოლმეურნეობის შეფმა — ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა.

მ. ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

● **ᲨᲣᲐᲮᲔᲕ

მსოფლიო დღეს

პარიზის ძალა მის ერთიანობაშია

პარიზი. 14 დეკემბერი. (საკდესი). **დღეს ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს დოკუმენტები, რომელიც მიიღო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 10-11 დეკემბერს გამართულმა პლენუმმა.**

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, განიხილა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1970 წლის 2 დეკემბრის ბერლინის თათბირის შედეგები და მოიწონა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის პოზიცია და მიღებული დოკუმენტები, რომლებიც ახალი მნიშვნელოვანი წვლილია ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იწონებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას და საქმიანობას საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, აღნიშნულია შემდეგ დადგენილებაში. ჩეხოსლოვაკიის კომპარტია კვლავაც განმტკიცებს და გააღრმავებს იდეურ ერთიანობასა და მოქმედების ერთიანობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან და თანმიმდევრულად იხელმძღვანელებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის საქმისათვის მსოფლიო ბრძოლაში დასახულ ამოცანათა შესრულების დროს.

შემდეგ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილება შესრულებულია და მიზნები, რომლებიც დასახული იყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში პარტიული ბილეთების გამოცვლის გამო, მიღწეულია.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ო. შეესტა დაამტკიცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრად.

დადგენილება ადასტურებს ო. ჩერნიკის გარიცხვას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიიდან.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციაში პარტიის ერთიანობის აქტუალურ საკითხებზე, კერძოდ, ნათქვამია:

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წლის ისტორია და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოცდილება, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIII ყრილობის შემდგომ პიროდში პარტიისა და საზოგადოების კრიზისული განვითარებიდან გამოტანილი გაკვეთილები ადასტურებენ, რომ პარტიას შეუძლია თავისი ისტორიული როლი შეასრულოს მხოლოდ იმ პირობით, თუ იქნება პოლიტიკური, იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე. ეს ერთიანობა არის მისი ძალის წყარო, მუშათა კლასისა და სხვა მშრომელთა წინაშე პასუხისმგებლობის დადასტურება, ხალხთან მტკიცე კავშირის წანამძღვარი.

1968-1969 წლებში მარქსისტულ-ლენინური ძალები ებრძოდნენ პარტიის ერთიანობის გამთიშველებს, იცავდნენ პრინციპულ მარქსისტულ-ლენინურ ერთიანობას. ამ ბრძოლაში პოლიტიკურად დამარცხდნენ შემარჯვენე ძალები. პარტბილეთების გამოცვლის დროს პარტია ჩამოშორდა მათ ორგანიზაციულად. შემარჯვენე ძალებთან ბრძოლაში პარტია იდეურად შეკავშირდა და ორგანიზაციულად განმტკიცდა.

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტია თვალის ჩინვით უნდა უფრთხილდებოდეს პარტიის რიგების შეკავშირებას და არ ურიგდებოდეს მისი რევოლუციური, მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალური ხასიათის შესუსტებას.

შემარჯვენე ძალები, რომლებიც არ შერიგებიან დამარცხებას, ნათქვამია შემდეგ ამ დოკუმენტში, კვლავაც მთავარ პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენენ. შემარჯვენე ძალებს ისეთნაირად უნდა ვებრძოდეთ, რომ განვამტკიცოთ პარტიის ერთიანობა და მტკიცე საფუძვლები შევუქმნათ მთელი პარტიის და მისი ხელმძღვანელობით ყველა მშრომელის აქტივობის განუხრელ განვითარებას. ბრძოლა პარტიის იდეური ერთიანობის განმტკიცებისათვის, შემარჯვენე ოპორტუნიზმის დაძლევისათვის მოითხოვს, რომ ყველა პარტიის ორგანიზაცია, ყველა წევრი აქტიურად ეწეოდეს პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას, ეუფლებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმს, ძლევდეს უცხო შეხედულებათა შემოჭრისადმი ლიბერალურ მიდგომას, არ ურიგდებოდეს იდეურ კომპრომისებს, გადაჭრით იბრძოდეს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყველა გამოვლინების წინააღმდეგ, ყოველთვის მოქმედებდეს კომუნისტური პრინციპულობის სულისკვეთებით.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ, ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში, თავის მუშაობაში ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა სრულად გამოიყენოს დემოკრატიული ცენტრალიზმისა და შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპები.

ყოველი მხრიდან



უცხოეთის პრესა კვლავ გრცლად აშუქებს „ლენინოდ-1“ თვითმავალი ბალისტიკის მუშაობას, ხაზს უსვამს, რომ ამ შესანიშნავი მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტის პროგრამა წარმატებით სრულდება.

ვარშავის პრესა მთავარ ყურადღებას უთმობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასა და პარტიის სამეურნეო პოლიტიკის 1971 წლის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

საფრანგეთის პრესა ხაზს უსვამს მასალებს იმის შესახებ, რომ ესპანეთში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა 16 ბასკი პატრიოტის ბურგოსის პროცესთან დაკავშირებით. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთელ მსოფლიოში იზრდება მძლავრი საპროტესტო მოძრაობა იმის წინააღმდეგ, რომ ესპანეთის ხელისუფალნი ამირებენ გაუსწორდნენ ბასკებს.

ნიუ-იორკის გაზეთები იუწყებიან, რომ სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ გადაწყვიტა მოიწონოს 255 მილიონი დოლარის გაღება კამბოჯის ახლანდელი რეჟიმისთვის სამხედრო დახმარების გასაწევად.

იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჰიტი მიემგზავრება კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, „ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ პრობლემებს შორის, რომლებსაც განიხილავენ ვაშინგტონში მოლაპარაკების დროს, არის, კერძოდ, ისეთი საკითხები, როგორიცაა ნატოს გამაგრება, **ამერიკა-ინგლისის სამხედრო თანამშრომლობა ინდოეთის ოკეანის რაიონში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმისთვის იარაღის მიწოდება.** (საკდესი).

გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი. 15 დეკემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველმა კომიტეტმა მიიღო დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი დეკლარაცია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების შესახებ.** დეკლარაცია საქვეყნოდ ადასტურებს, რომ „თითოეული სახელმწიფო მოვალეა თავი შეიკავოს ძალით დამუქრებისაგან ან ძალის გამოყენების მუქარისაგან ყოველი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და რომ სახელმწიფოს ტერიტორია არ უნდა გახდეს ობიექტი სამხედრო ოკუპაციისა ძალის გამოყენების შედეგად, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა დარღვევა იქნება.“

დეკლარაცია მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრან საერთაშორისო დავა, რათა არ შეუქმნან საფრთხე საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას.

კომიტეტის სხდომაზე დეკლარაცია პრაქტიკულად ერთხმად იქნა მიღებული. **წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დელეგაციამ.** პორტუგალიის წარმომადგენელმა კენჭისყრაში თავი შეიკავა.

ნიუ-იორკი. 15 დეკემბერი. (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის განხორციელების საკითხზე, რომელიც წამოაყენა აფრიკისა და აზიის 30 ქვეყანამ.**

რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კვლავაც უნდა ახორციელებდეს ღონისძიებებს კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

ამ რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ გმობს კოლონიალიზმს, ხმა მისცეს პორტუგალიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ავსტრალიის წარმომადგენლებმა.

24 სახელმწიფოს სპეციალურ კომიტეტს მიეცა წინადადება, რომ გენერალური ასამბლეის მორიგ სესიას წარუდგინოს მოხსენება, „თუ როგორ სრულდება ეს დოკუმენტი.

მეორე რეზოლუციაში, რომელიც ეხება ეგრეთ წოდებული ესპანეთის საჰარის ხალხის თვითგამორკვევის ხელშეუვალ უფლებას, ხაზგასმულია, რომ ამ ტერიტორიაზე კოლონიური რეჟიმის არსებობა აფერხებს სტაბილურობისა და თანხმობის მიღწევას ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში.

საგანგებო წესები ესპანეთში

მადრიდი. 15 დეკემბერი. (საკდესი). **გენერალ ფრანკოს რეზიდენციაში მადრიდის მახლობლად გუშინ გაიმართა ესპანეთის კაბინეტის საგანგებო სხდომა.** შინაგან საქმეთა მინისტრის თომას გორიოს წინადადებით სხდომამ გადაწყვიტა ექვსი თვით შეაჩეროს კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლის — ესპანელი ხალხის ქარტიის — მოქმედება, რომელიც პიროვნების თავისუფლებას უზრუნველყოფს. ფაქტიურად ეს ნიშნავს საგანგებო წესების შემოღებას მთელ ესპანეთში.

ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმ დროს, როცა სამხედრო ტრიბუნალის ხუთი წევრი ჩაიკეტა ბურგოსის მე-6 სამხედრო ოლქის შტაბ-ბინის სათათბირო ოთახში და წყვეტს 16 ბასკი პატრიოტის ბედს.

ესპანელ მშრომელთა ბრძოლის უმაგალითო გაქანება სერიოზულად აშფოთებენ ხელისუფალთ. ფრანკოს მთავრობის გუშინდელი გადაწყვეტილება ოფლებას აძლევს პოლიციას დაეკავოს ყველა „ეჭვმიტანილი პირი“.

15 დეკემბერი — ეროვნული მეცნიერების დღე

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

● **სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ენდრიხოვსკიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ. (საკდესი).**

ავიაჯახზეა „იაკ-40“

● **ქაბული.** (საკდესი). **საბჭოთა კავშირში შეძენილმა „იაკ-40“ თვითმფრინავებმა რეგულარული ფრენა დაიწყეს ავღანეთის შიდა ხაზებზე, წერს გაზეთი „ისლამი“.**

პატრიოტთა წარმატებანი

● **„ბანთავისუფლების“ პრესის სააგენტო სამხრეთ ვიეტნამიდან იტყობინება, რომ მითხოს პროვინციაში მოქმედმა განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა მიმდინარე წლის ნოემბრის სახრძოლო ოპერაციების დროს მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკა-საიგონის ჯარების 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი. სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მოსპეს 17 სამხედრო ავტომანქანა, ჩაძირეს 2 კატარღა, აგრეთვე ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და საომარი აღჭურვილობა. (საკდესი).**

ურთიერთობა უნდა აღდგეს

● **სან-ხოსე.** (საკდესი). **კოსტა-რიკის პრეზიდენტმა ხოსე ფიგეერესმა, რომელიც გუშინ ტელევიზიით გამოვიდა, თქვა, რომ ამას წინათ, შეესიკაში, ლათინური ამერიკის 10 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს საკითხი კუბის მიმართ ეკონომიური სანქციების გაუქმებისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ.**

თანამეგობრობა საფრთხეშია

● **ლუსაკა.** (საკდესი). **ზამბიის მთავრობა სერიოზულად განიხილავს ერთა თანამეგობრობაში თავისი წევრობის საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის მთავრობამ განიზრახა უახლოეს დროს განაახლოს იარაღის მიწოდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმისათვის. ეს აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა ზამბიის პრეზიდენტმა კენეტ კაუნდამ.**

პრეზიდენტია უფუე-ბუანი

● **კუმასი.** (საკდესი). **როგორც ამბობენ, ოტყობინებიან, დღეს ხანის ძალის ნაპირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სპილოს ძვლის ნაპირის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ფელიქს უფუე-ბუანი.**

ერთსულოვანი მოწონება

ვარშავა. 15 დეკემბერი. (საკდესი). **აქ მუშაობა დაამთავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა. მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ პლენუმმა მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოხსენება ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობისა და პარტიის სამეურნეო პოლიტიკის 1971 წლის უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესახებ, როგორც პარტიული ორგანიზაციის, აგრეთვე სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის დირექტივა. ამ საკითხზე გამართული კამათი შეაჯამა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენმა ვ. გომულკამ.**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სავსებით მოიწონა პოლონეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პოზიცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე, რომელიც ამა წლის 2 დეკემბერს გაიმართა ბერლინში.

ადამიანური სულის ჯიჯანი

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის დაბადების 200 წლისთავის გამო



ბეთჰოვენის მუსიკა ადამიანის შემოქმედებითი გენიის ერთ-ერთი უმაღლესი გამოხატულებაა. ბეთჰოვენის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მეტყველებს პიროვნებაზე, რომელშიც გაერთიანებული იყო სწორუპოვარი შემოქმედებითი ნიჭი, მეამბოხე ტემპერამენტი და უდრეკი ნებისყოფა. „მუსიკა ცეცხლს უნდა კვესავდეს ადამიანის გულიდან“ — ეს სიტყვები მხოლოდ ბეთჰოვენს — მუსიკის პრომეთეოსს შეეძლო ეთქვა და მათში არაჩვეულებრივი სიცხადით აისახა კომპოზიტორის იდეური და ესთეტიკური არსი.

ბეთჰოვენის გიგანტური ფიგურა სიმბოლურად არის აღმართული მე-18— მე-19 საუკუნეების მიჯნაზე. აქედან თანაბრად ვრცელი პერსპექტივები იშლება როგორც წინ —მუსიკალური რომანტიზმის ეპოქისკენ, ისე გასული საუკუნეების დიდებული კლასიკური კულტურისაკენ.

ბეთჰოვენის ეპოქა გრანდიოზული რევოლუციური და სოციალური ძვრების, საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ცხოვრების იშვიათი იტენსივობის ეპოქაა. მართალია, კომპოზიტორის მოღვაწეობა გაიშალა საფრანგეთიდან — მთავარი რევოლუციური კერიდან მოშორებით, მაგრამ თვით პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩამორჩენილ გერმანიაშიც კარგად ისმოდა „ევროპის გულის“ აჩქარებული ცემა. გერმანიის ისტორიის „ეს სამარცხვინო პოლიტიკური და სოციალური ეპოქა ამავე დროს იყო გერმანული ლიტერატურის დიადი ეპოქა“ (ენგელსი). ამ დროს იშლება გოეთესა და შილერის მოღვაწეობა, ინერგება რევოლუციური პათოსით გამოხატული ნაწარმოებები —„ეგმონტი“, „ყაჩაღები“, „ვერაგობა და სიყვარული“, „ოდაში სიყვარულისადმი“ გაისმის შილერის მოწოდება „მილიონებო, მოეხვიეთ ერმანეთს.. სიკვდილი უსამართლო კანონებს, გაუმარჯოს სამართლიან სანქციებს“. ეს მოწოდება ოთხი ათეული წლის შემდეგ ხორცს შეისხამს ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის ფინალში.

ამავე პერიოდში ჰეგელეს ფილოსოფიური სისტემის სახით მწვერვალებს აღწევს გერმანული კლასიკური ფილოსოფია. ამასთან ერთად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქას მსოფლიო კულტურის არცერთ დარგში არ მიუღია ისეთი სრულყოფილი განსახიერება, როგორიც ბეთჰოვენის შემოქმედებაში, ისეთ ქმნილებებში, როგორიც არის მე-3 („გმირული“) სიმფონია, მე-5 და მე-9 სიმფონიები, სონატა-აპასიონატა, ოპერა „ფიდელიო“, უვერტიურები — „ეგმონტი“, „ლეონორა“, „კორიოლანი“.

ბეთჰოვენის მთელმა ცხოვრებამ გერმანული ობივატელური ყოფის გარემოცვაში ჩაიარა. მარტობა, მუდმივი სიღატაკე, სიბერე და ბოლოს სიკვდილი. ბედისწერა არ იშურებდა მისთვის სასტიკ ლახვარს. თითქოს ყოველივე აღსდგა კომპოზიტორის წინააღმდეგ, რათა გაეტეხა ეს მედგარი, კლდესავით მტკიცე ხასიათი, მაგრამ ბეთჰოვენი თვით სასიკვდილო სარეცელზეც უძლეველი დარჩა. სიმბოლურ აზრს იძენს მისი სიკვდილის ერთადერთი მოწმის ა. პიუტებრენერის მოთხრობა. 1827 წლის 26 მარტს ვენაში სასტიკი ჭექა-ქუხილი მძვინვარებდა. ბეთჰოვენმა, რომელიც გონებაწასული იწვა ლოგინში, უეცრად წამოწია და მუშტით დაემუქრა გაფთრებულ სტიქიას.

დაუდგრომელი სულით, მხურვალე ენერგიით, უსაზღვრო ოპტიმიზმით არის გამსჭვალული მისი ყველა სახელგანთქმული ქმნილება. მაგრამ ამ, ერთი შეხედვით პირქუშ ადამიანს იშვიათი ნაზი, კეთილი და მოსიყვარულე გული ჰქონდა. „მე არ შემიძლია ვიყო ბედნიერი, სანამ რომელიმე ჩემი ამხანაგი გაჭირვებაშია“— ამბობდა იგი. ყოველივე ამის შესახებ კი ყველაზე დამაჯერებლად მეტყველებს ღრმა ადამიანური გრძნობით გამთბარი მისი ქმნილებები: მე-4 სიმფონია, მომავალი რომანტიკული სიმფონიზმის გენიალური პროტოტიპი, მე-6 პასტორალური სიმფონია, მისი ყველა სონატის, კონცერტების, კვარტეტებისა და სიმფონიების ნელი ნაწილები, ვოკალური ციკლი „უკვდავ სატრფოს“, რომელიც უწმინდესი და უსიტყვისი ლირიკული გრძნობით არის გამთბარი.

ბეთჰოვენის მოღვაწეობა ძირითადად სიმფონიური მუსიკის სფეროში გაიშალა. მისი ცხრა დამთავრებული სიმფონია გვაძლევს კომპოზიტორის შემოქმედებითი ევოლუციის სრულ სურათს, რომელიც ვვაოცებს თავიანი ვრცნდიოზული მასშტაბებით, შინაარსის სიღრმით, მუსიკალური სახეების სიმდიდრით, ფორმების მრავალფეროვნებით, მუსიკალური ენის სითამამითა და სიახლით.

თავისი პირველი ორი სიმფონია ბეთჰოვენმა დაწერა 1800-1802 წლებში, როდესაც იგი იყო სავსებით მომწიფებული ხელოვანი, ავტორი შედევრებისა (სამი საფორტეპიანო კონცერტი, თვრამეტი საფორტეპიანო სონატა, კვარტეტები).

მძიმე სულიერი კრიზისი, რომელმაც ბეთჰოვენი 1802 წელს თვითმკვლელობის აზრამდე მიყვანა, მისი შემოქმედებითი სულის სრული გამარჯვებით დამთავრდა და ამის მაუწყებელი იყო გენიალური მე-3 გმირული სიმფონია — ბეთჰოვენის სიმფონიური შემოქმედების პირველი ქრონოლოგიური მწვერვალი, რომელმაც განაზღვრა კომპოზიტორის იდეურ-მხატვრული განვითარების შემდგომი გზა. ცნობილია, რომ ბეთჰოვენმა იგი თავდაპირველად ნაპოლეონ ბონაპარტს — პირველ კონსულს უძღვნა, რომელიც მისთვის რევოლუციური იდეალების განსახიერებას წარმოადგენდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ნაპოლეონმა იმპერატორად გამოაცხადა თავი, ბეთჰოვენმა ეს მიძღვნა დახია.

მე-5 სიმფონია, ანუ როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, „ტრაგიკული“— კომპოზიტორის სიმფონიური შემოქმედების მე-2 მწვერვალია. სიბნელიდან სინათლისაკენ, ბრძოლის „ზით —გამარჯვებისაკენ — ასეთია ამ ნაწარმოების დრამატული განვითარების ხაზი. მისი ფინალი აღიქმება როგორც ნამდვილი რევოლუციური ჰიმნი — მარში. ბეთჰოვენის ყოველი სიმფონია მეტყველებს მისი შემოქმედებითი ფანტაზიის განუმეორებელ იდეურ და ემოციურ დიაპაზონზე, ჰუმანიტარიტ უნივერსალურობაზე.

თუ პირველი რვა სიმფონიის შექმნა მთლიანად თავსდება 1800-1812 წლებში და ამდენად ემთხვევა ბეთჰოვენის შემოქმედებითი ახალგაზრდობის პერიოდს, მე-9 სიმფონია, დაწერილი სამოიდე წლით ადრე კომპოზიტორის სიკვდილამდე, იქცა ბეთჰოვენის გედის სიმღერად, მის მუსიკალურ ანდერძად.

მე-9 სიმფონია მუსიკალური კულტურის ერთი უდიდესი ძეგლთაგანია. იგი წარმოადგენს ბეთჰოვენის შემოქმედების განზოგადებას, სინთეზს, ნამდვილ ენციკლოპედიას. მე-9 სიმფონია ყველაზე რთული, ღრმა და გრანდიოზულია ბეთჰოვენის დანარჩენ სიმფონიებს შორის, მისი მუსიკალური სტიქიის მეცხრე და უმაღლესი ზვირთია. მე-9 სიმფონია არის ბეთჰოვენის „მთელი ცხოვრების საქმე“, ისევე როგორც ვოეთისათვის იყო „ფაუსტი“. მისი ტრაგიკული პროფეტია იკვეთებოდა კომპოზიტორის თითქმის მთელი შეგნებული მოღვაწეობის მანძილზე.

მე-9 სიმფონიაში ბეთჰოვენი კვლავ წყვეტს თავისი სიმფონიზმის მთავარ პრობლემას — პიროვნებისა და მოვალეობის, ჰუმანიზმისა და თავისუფლების პრობლემას.

მუსიკალური შემოქმედების ყოველი სფერო, რომელსაც მიმართავს ბეთჰოვენის გენია, ამიერიდან ამ ეპოქის განვითარების ახალ ეპოქად იქცევა. ბეთჰოვენი კაცობრიობის მანათობელ თანამგზავრად იქცა და დღესაც მონაწილეობს თანამედროვეობის ბრძოლაში „ბასტილიის“ წინააღმდეგ, ადამიანური ღირსებებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელთაც თავისი შემოქმედებით შთაგონებული და მგზნებარე ჰიმნი უმღერა.

გ. ტორაძე.

ნახეს „განტევების ვაცი“

ვაშინგტონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). **თეთრმა სახლმა გამონახა „განტევების ვაცი“, რომელსაც დაბრალა რესპუბლიკური ადმინისტრაციის ეკონომიური პოლიტიკის ჩაფუშვა. ასე აფასებენ აქ პრეზიდენტ ნიქსონის გადაწყვეტილებას დაეთანხმოს ფინანსთა მინისტრის დევიდ კენედის გადადგომას, რომელიც შედიოდა პრეზიდენტის უმაღლეს ეკონომიურ და ფინანსურ მრჩეველთა „ოთხეულში“.**

კორესპონდენტთა წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა ნიქსონმა ფინანსთა მინისტრის გადადგომა დაახასიათა როგორც კენედის ნებაყოფლობითი ნაბიჯი. მაგრამ მთელი რიგი გარემოებანი საეჭვოდ ხდიან ასეთ მტკიცებას.

ფინანსთა სამინისტროს წრეებიდან ცნობილი გახდა, რომ ოთმბერში პრეზიდენტ ნიქსონთან საუბრის დროს კენედიმ განაცხადა, რომ მზად არის დათმოს თავისი პოლიტიკური კარიერა და იკისროს ძირითადი ბრალი იმისათვის, რომ გრძელდება ინფლაცია და იზრდება უმუშევრობა.

ყველასათვის ნათელია რომ ამერიკის ჯარების ყოფნა სამხრეთ ვიეტნამში არავითარ შემთხვევაში არ უწყობს ხელს დაძაბულობის შენელებას. გარდა ამისა, ომის გაგრძელება მძიმე ტვირთად აწვება რიგითი ამერიკელის ჯიბეს... ვიეტნამის ომი სულ უფრო მეტ საზარბაზნე ხორცს მოითხოვს. ამიტომ გასაგებია სამხრეთვიეტნამელი მარიონეტების ხშირი ვიზიტი შეერთებულ შტატებში. მათი მიზანია მეტი დოლარი და ჯარისკაცი დასტყუონ უფროს პარტნიორს. მაგრამ ამერიკელი ახალგაზრდობა თავისი მრავალრიცხოვანი დემონსტრაციებით აშკარად აგრძნობინებს ომის გამგრძელებლებს, რომ ისინი მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს დანაშაულებრივი სასაკლაო. სურათზე თქვენ ხედავთ დემონსტრაციის განდევნას სან-ფრანცისკოში, რომელიც მიმართული იყო სამხრეთ ვიეტნამის ვიცე-პრეზიდენტის კაო კის ვიზიტის წინააღმდეგ. ტელეფოტო საკდესისა.

სიმართლეს ჩქმალავენ

ვაშინგტონი, 14 დეკემბერი. (საკდესი). **„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ჩქმალავს სიმართლეს სამხრეთ ვიეტნამში დახოცილი და დაჭრილი მშვიდობიანი მცხოვრებლების რაოდენობის შესახებ“, — განაცხადა სენატორმა ე. კენედიმ.**

თავისი განცხადება სენატორმა დაასაბუთა დასკვნებით, რომლებიც გამოტანილია ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი საანგარიშო სამმართველოს მოხსენებაში იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხორციელდება სამხრეთ ვიეტნამში ომის სამოქალაქო მსხვერპლთა შესამცირებლად.

„მთავარი საანგარიშო სამმართველოს დასკვნებმა, — განაცხადა სენატორმა ე. კენედიმ, — სასაცილო გახადეს ჩვენი მთავრობის მტაცებანი იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიც იმყოფებიან სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მცხოვრებნი“.

მოუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ სტატისტიკას მოჰყავს შემცირებული მონაცემები, აღნიშნა სენატორმა ე. კენედიმ, მთავარი საანგარიშო სამმართველოს მოხსენება სავსებით ადასტურებს, რომ სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის ზარალი, ახლაც ისევე დიდია, როგორც წინათ იყო. კენედიმ „ირანხული“ უწოდა სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის ზარალს.

სენატორმა მკაცრად გააკრიტიკა ნიქსონის მთავრობის მიერ განხორციელებული ვიეტნამიზაციის პროგრამა, როგორც მთავარი მიზეზი ვიეტნამის ხალხის განუწყვეტელი ტანჯვისა.

სენატის კომისიაში

ვაშინგტონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). **სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მიიღო გასწორება, რომელიც მოითხოვს, რომ კონგრესს წინასწარ შეუთანხმონ ამერიკის ყველა დამატებითი ასიგნება კამბოჯისათვის „დახმარების გასაწევად“.**

ასეთ გადაწყვეტილებათა მიუხედავად, სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ 8 ხმის უმრავლესობით (4 წინააღმდეგ იყო) მოიწონა მთავრობის მოთხოვნა, რომ გამოიყოს 255 მილიონი დოლარი კამბოჯისათვის სამხედრო დახმარების გასაწევად. კომისიის ეს გადაწყვეტილება მკვეთრად გააკრიტიკეს სენატორებმა.

სენატორმა უ. ფულბრაიტმა განაცხადა, კამბოჯისათვის დამატებითი სამხედრო დახმარების გაწევა „ამ ქვეყნის ტერიტორიაზე უფრო ფართო ომის წარმოების სანქციაა, რასაც არ შეუძლია ხელი არ შეუშალოს მშვიდობიანი მოწესრიგების პერსპექტივას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში“.

კომისიამ მოიწონა აგრეთვე სენატორების საიმინგტონისა და კეისის გასწორება, რომელიც მოითხოვს, რომ მან ჯერ კიდევ ადრე ამერიკის სახმელეთო ჯარების შეყვანას კამბოჯაში. ეს ღონისძიება, რომელიც კომისიამ მიიღო სენატორების ჩერჩისა და კუპერის წინადადებით, დამატებაა იმ გასწორებისა, რომელიც მათივე წინადადებით რამდენიმე ხნის წინათ მიიღო სენატმა ლაოსსა და ტაილანდში ამერიკის ჯარების გამოყენების გამო.

ნიუ-იორკის

ნიუ-იორკი. 15 დეკემბერი. (საკდესი). **ინგლისელ მეზღვაურთა ორგანიზაციის ბრძოლა ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ფლოტის ინტერესებისა ერთმანეთს ემთხვევა.** ეს ასეთ ფაქტებზე ამბობენ ინგლისელ ექიმთა ასოციაციის ბრძოლა ინგლისელ ექიმთა ინტერესებისა და ეროვნული ჯანმრთელობის ინტერესებს ერთმანეთს ემთხვევა.

„კომუნისტის“ მკითხველებს

თქვენთან ერთად, ექვგობრებო!

რამდენიმე დღეც, და ახალი, 1971 წელი შემოაღებს კარს. ჩვენი ხალხი, როგორც იტყვიან, კვლავ ხელსავსე ეგებება ამ ახალ წელიწადსაც.

საახალწლო საზრუნავი უკვე ყველგან იგრძნობა. ადამიანები ამ დროს ჩვეულებისამებრ აჯამებენ წლევანდელ ნაშრომ-ნაღვაწს და სამერმისო კეთილ საქმეებს სახავენ.

შესაჯამებელი კი ბევრია. 1970 წელი, ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, ჩვენმა ხალხმა არაერთი შესანიშნავი წარმატებით აღნიშნა. მომავალ 1971 წელს გაიმართება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა, საბჭოთა საქართველო იზეიმებს თავისი დაბადების 50 წლისთავს. ერთი სიტყვით, ახალ წელს ახალი ფიქრები და საქმეები მოაქვს.

ჩვენ გვინდა თქვენი დამბარებითა და ხელშეწყობით ყველაფერი ეს აისახოს „კომუნისტის“ ფურცლებზე.

ახლა კი ჩვენი გაზეთის რედაქცია მოგმართავთ თქვენ „კომუნისტის“ მკითხველებს, რომ საახალწლო ნომერი ძვირფასო მეგობრებო, მთლიანად თქვენთან ერთად გაკეთდეს.

მოგვწერეთ, რა გსურთ წაიკითხოთ ამ საახალწლო ნომერში, გამოგზავნეთ ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, ჩანახატები, ფოტოსურათები, ნახატები. რედაქცია ამ თქვენ მიერ გამოგზავნილი ნაწარმოებებიდან შეარჩევს ყველაზე საუკეთესოებს, რომლებსაც საახალწლო ნომრებში წაიკითხავთ.

მაშ ასე, მეგობრებო, ველით თქვენს წერილებს. ჩვენი მისამართია: **თბილისი, ლენინის ქ. № 14. კონვერტს წაწერეთ „საახალწლო“.**

მარად ჭაბუკი

მატარებლის ფანჯრებს მთელი ღამე კურცხლებივით აცვიოდა წვიმის წვეთები. ასე თქვეს, დასავლეთში ერთი კვირაა გადაუღებლივ წვიმსო. თენდებოდა, ზუგდიდი რომ ჩავედით. ქარს ღრუბლები მიეფერთხმოეფერთხა. მსუბუქ ნისლში გახვეული ნაწვიმარი ღილა ლაღად სუნთქავდა. სადღაც, ცის კიდურზე, ვარდისფერი შტრიხები გაჩნდნენ. დედამიწისკენ საოცარი შუქი მოიწევდა. ასეთი სუფთა, გულსავსე განთიადი მხოლოდ ხანგრძლივი წვიმების შემდეგ იცის, იგი სიკეთისაკენ უსმობს ადამიანებს.

ამ განთიადმა ჩვენი ძველი მეგობარი ჟურნალისტი და მწერალი შალვა შენგელი გამახსენა. იგი ამ ქალაქის მკვიდრია. აქედან ეხმაურება ქვეყანას. საოცარი გარდასახვაა, მაგრამ როგორ გავს იგი ამ განთიადს. ასეთივე ულრუბლო, სახენაოელი, იმედიანი და გულსავსეა. უყვარს ღია ფერებით წერა. მისი დახვეწილი, დინამიური, ცოცხალი და სხარტი ჩანახატები, თუ ნარკვევები, ფელეტონები, თუ უბრალო კორესპონდენციები ყოველთვის დიდი ინტერესით იკითხება. მის ნაწერებში მკვეთრად იგრძნობა, რომ ჟურნალისტს უყვარს ეპოქა, რომელშიც ის ცხოვრობს, მოღვაწეობს. გრძნობს ეპოქის რიტმს, კარგად აღიქვამს გარემოს. წერს ლაღად, თავისუფლად, ახლებურად. უყვარს ადამიანი და ადვილად იხედება მის სულში. მისი გმირები თანამედროვე ადამიანები არიან. თუნდაც რომელიმე მათგანი ღრმა მოხუციც რომ იყოს, მაინც ჩვენი წარმატებებით ცხოვრობს, ჩვენი დროით სუნთქავს.

„ანი გამოგვეცხადა ქარიატას ქრონიკების ცოცხალი მემატიანე, შემოვიდა და შემოკავა სინათლე, თეთრი ზოსა, მხარზე გადაგდებული თეთრი ყაბალახი, თეთრი წვერი, ვერცხლის ზარნიმიანი სატევარი. ბერიკაცის თვალებიდან საუკუნე იმზირება“,—ასე აგვიწერს ავტორი უხუცეს ქარიატელ პეტრე გერგიას. „ჩემი ბავშვობის დროის ამბებიდან, — აღნიშნავს მოხუცი — მხოლოდ ყულეები, ისლი, ურმები, ჯარგვლები, ფეხშიშველა გლეხები მახსოვს... ოცანინ წლების დამლევს უარი ვთქვით ისლზე და დავდგით ყავრით გადახურული ოდები, მერე ისიც არ მოგვეწონა და კრამიტზე გადავედით, უკანასკნელად მოთხოვნილება მხოლოდ შიფერზე და თუნუქზეა... სულ სხვა ცხოვრება მოვიდა, მაგრამ თვალი შევაჩვიეთ და არ გვიკვირს“.

შ. შენგელს განსაკუთრებით ემარჯვება და უყვარს ხუმრობით ნათქვამი სიმპართლის სხარტად და საინტერესოდ თხრობა: „ძველად ნიკოსია ეწერა რუხს; ეს ნიშნავდა — ნიკოსია, ნიკო დადიანისაო ეს სოფელი... ნიკო დადიანი ეტლით დადიოდა, ზუგდიდიდან ნიკოსიაში ასვლას საათზე შეტს ანდომებდა. ახლა ამ გზას ხუთ წუთში ფარავს სანდრო ფარცვანიას „ვოლგა“.

ტელევიზორმა ქალაქში დაგვასახლაო, — თქვა სანდრომ და იქვე ხუმრობით დასძინა: — მე, სანდრო ფარცვანია, ახლა ნიკო დადიანზე უკეთ ვცხოვრობ, თუ რამდენად მართალია ეს, ჩამობრძანდით რუხში და თვითონ სახეთ“.

შ. შენგელს აქვს ხუმრობით ნათქვამი ისეთი სინამდვილეებიც, სადაც „ამბავი სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს. აი, ერთი ფერმიდან გაძვალტყავებული, დამშეული ძროხა დაიკარგა. იგი შემთხვევით მეზობელი სოფლის ფერმაში აღმოჩნდა. მოვიდნენ პატრონები, რომ უკანვე წაეყვანთ თავისი საქონელი, მაგრამ ძროხა გაჯიუტდა, ფეხები გააფიჩინა. ხან რქებში ჩაავლეს ხელი, ხან კუდში, ძროხა ადგილიდან ვერ დაძრეს. ახალ ფერმაში სასმელ-საჭმელი ელოდებოდა, თავზესაყრელი ჰქონდა, სუფთად უვლიდნენ და ელოლიავებოდნენ, რა თქმა უნდა, აღარ უნდოდა წასულიყო იქ, სადაც შიმშილი, სიცივე და უსუფთაობა იყო“.

ამბავი მსუბუქი იუმორით არის ასახული. ავტორს არ დასჭირვებია დიდი კვლევა-ძიება და ქაღალდების ქექვა. „ფელეტონით“ ანიშნა, ვისაც კი ეს საქმე ეხებოდა — მიხედეთ 'იმ ფერმას, საიდანაც ძროხებიც კი გარბიანო.

ავიღოთ მისი უბრალო კორესპონდენცია; — ავტობუსს მიწერილი აქვს „სოფ. კახათი“, მას კი აუღია თავი და სხვა სოფელში მიჯახჯახებს. დრო ჩვენს ეპოქაში ყველაზე ძვირფასი ფონდია. აწიოკდნენ კახათში მიმავალი მგზავრები, რამდენიმე საათი ზედმეტად ეკარგებათ. მძღოლი კი არხეინად ერეკვება ავტობუსს საითაც ნებავს.

ამბავი ისეთი მხიარული ფერებით არის წარმოდგენილი, რომ უნებურად გეღიმებათ. თუმცა, ამ ღიმილს იქით გრძნობთ, რომ მომხდარი ფაქტი საწყენელია ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ასათიანი. ვეტერანმა მოფარიკაკეებ დაუმარცხებლად განელო შეჯიბრება და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე შესაბამისად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები გ. ლორთქიფანიძე და ა. გოგელია.

დაშინთ მოფარიკავეთა ტურნირმაც ვერ მოუტანა წარმატება შეჯიბრებაში მონაწილე ახალგაზრდა მოფარიკავეებს. აქ ჩვენი ოსტატობთ იბრძოდა გ. კოსტავა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის გუნდმა (მწვრთნელი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ლ. ქოჩიაშვილი).

შ. ქირია.

კვლავ ვეტერანები...

ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა მომავალ დიდ ასპარეზობის — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას მიეძღვნა საქართველოს პირადგუნდური ჩემპიონატი ფარიკაობაში, რომელიც „ბურევესტნიკის“ სპორტულ დარბაზში გაიმართა. ტურნირში თბილისის, ზესტაფონის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, რუსთავის და რეპუბლიკის სხვა ქალაქების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

რაპირისტ ქალთა პირად ტურნირზე ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა ვეტერანმა, სპორტის ოსტატმა მ. კოხრეიძემ, მეორე ადგილი ხვდა ს. სვანიძეს, მესამე — ნაკრების ვეტერანს დ. ლორთქიფანიძეს. სამი თბილისელი მუშაკეტერი ავიდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე რაპირისტ ვაჟთა ტურნირის დამთავრების შემდეგ. ესენი იყვნენ ნ. ჩიტიშვილი, ბ. მათითაიშვილი და დ. გოგნიაშვილი.

სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ესპადრონისტთა ასპარეზობამ. საფარიკაო ბილიკზე კვლავ გამოჩნდა ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ასათიანი. ვეტერანმა მოფარიკავემ დაუმარცხებლად განელო შეჯიბრება და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე შესაბამისად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები გ. ლორთქიფანიძე და ა. გოგელია.

დაშინთ მოფარიკავეთა ტურნირმაც ვერ მოუტანა წარმატება შეჯიბრებაში მონაწილე ახალგაზრდა მოფარიკავეებს. აქ ჩვენი ოსტატობთ იბრძოდა გ. კოსტავა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის გუნდმა (მწვრთნელი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ლ. ქოჩიაშვილი).

შ. ქირია.

ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის

იმედები, პერსპექტივები...

მეტი ყურადღება „სპორტის დედოფალს“

მძლეოსნობა სამართლიანად ითვლება „სპორტის დედოფლად“. ვერცერთ ღონისძიებას ვერ ნახავთ, სადაც ამ სახეობას უპირველესი ადგილი არ ეჭიროს. ოლიმპიადებზე, უნივერსიადებზე, სპარტაკიადებზე მძლეოსნობა მუდამ ყველაზე წარმომადგენლობითია და მასში გუნდური წარმატება სპარტაკიადის, ოლიმპიადის კომპლექსური ჩათვლაში თითქმის ნახევარ გამარჯვებას უდრის.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე „სპორტის დედოფალი“ მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. გაისადაც ასე იქნება. V სპარტაკიადაში ყველაზე მეტი მედლები სწორედ ამ სახეობაში გათამაშდება. სულ მძლეოსნები სპარტაკიადაზე ერთმანეთში 2.666 ქულას გაიანგარიშებენ, იმდენს, რამდენსაც სპორტის სხვა 14 სახეობის წარმომადგენლები. თუ როგორ ემზადებიან საქართველოს მძლეოსნები საგაიოდ, რა პერსპექტივები გვაქვს, რის იმედი უნდა ვიქონიოთ, რა აფერხებს ნაკრების უკეთესად მომზადებას, ამ საკითხებზე გვესაუბრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანაძე.

საქართველოს მძლეოსნებს კარგი ტრადიციები აქვთ — მუდამ გვყავდა სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, რომლებიც მარტო საკავშირო კი არა, უფრო დიდ სარბიელზეც წარმატებით ასპარეზობდნენ, მაგრამ თითოოროლა ასეთი მძლეოსანი ამინდს ვერ ქმნიდა, ამიტომაც საკავშირო ტურნირების საერთო გუნდურ ჩათვლაში სპრიზო ადგილებს ვერასოდეს ვეღირსეთ. სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნები ურიგოდ როდი გამოვიდნენ — პირად ასპარეზობაში უფრო მეტი საპრიზო ადგილები მოიპოვეს, ვიდრე წინა ამგვარ შეჯიბრებებზე, მაგრამ ამით დაკმაყოფილება მაინც არ შეიძლებოდა, ვინაიდან იმას, რისი გაკეთებაც საქართველოს სპორტსმენებს შეეძლოთ, ვერ მივაღწიეთ.

ჩვენს რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის“ უმაღლეს საფეხურზე აყვანას მუდამ პირველხარისხოვანი ბაზების, მაღალკვალიფიციური, მუყაითი მწვრთნელების სიმცირე აფერხებდა, მწვრთნელებისა, რომლებიც სხვების მიერ მოძებნილ სპორტსმენებს კი ა რ ებღაუჭებიან, არამედ თვითონ მიაგნებენ ტალანტებს, ნიჭიერ, პერსპექტიულ სპორტსმენებს და გულმოდგინე, დაუღალავი შრომით მათგან ზრდიან ისეთ ოსტატებს, რომლებსაც დიდ სარბიელზე ბრძოლის უნარი ეჭნებათ.

საქართველოს სფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით ბაზების ქსელის გაფართოებისათვის ბევრი რამ გააკეთა — სსრ კავშირის წინა სპარტაკიადებისათვის სამზადისში ბორჯომში, გურჯაანში, ჩოხატაურში, ცხაკაიაში, თელავში და მახარაძეში ახალი სტადიონების მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. მახარაძეში, ბორჯომსა და გურჯაანში კარგი მძლეოსნური სექტორები და სარბენი ბილიკებიც მოეწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოთჩამოთვლილ რაიონებშიც მძლეოსნობის განვითარებისათვის ძალზე ცოტა კეთდება — საქართველოს ნაკრებში მათს ვერცერთ მძლეოსანს ვერ ვხვდებით.

სოხუმში, ქუთაისში, ბათუმში, ცხინვალში ხეირიანი მძლეოსნური სექტორები და სარბენი ბილიკები არა აქვთ. რესპუბლიკაში ერთადერთი ბაზა თბილისის „ლოკომოტივის სტადიონზეა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაგრამ ყველაფერი წესრიგზე არც აქ არის. მძლეოსნებს ყოველთვის არა აქვთ გასახდელები, შხაპი, საერთო ფიზმომზადების ინვენტარსა და დარბაზებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სტადიონზე რესტორანს კი იმდენი ფართობი უკავია, რამდენიც მარტო მძლეოსნებისთვის კი არა, სხვა სპორტსმენთა საერთო ფიზმომზადების დარბაზებადაც იკმარებდა.

მისასალმებელია ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატის ინიციატივა, რომელმაც ინსტიტუტის სტადიონზე ბიტუმის ბილიკები და სექტორები მოაწყო. ეს ნაკრებებისთვის შესანიშნავი დახმარებაა.

საქართველოს მძლეოსნებს საკმაოდ გრძელი ზაფხული აქვთ, მაგრამ თანამედროვე ტექნიკური სრულყოფა სრულწლიურ, ინტენსიურ ვარჯიშს საჭიროებს, საამისოდ კი აუცილებელია მანეგები. თბილისში მანეგის მშენებლობას საფუძველი ორი წლის წინ ჩაეყარა, მაგრამ... არავინ იცის როდის დამთავრდება.

დასამალი როდია, რომ ბევრი მწვრთნელი ნდობას ვერ ამართლებს, ასე ვთქვათ, უქმად მუშაობს. დაბალია აღმზრდელთა და სპორტსმენთა საწვრთნო დისციპლინა. ხშირად წესრიგის დარღვევის, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის ფაქტებსაც ვხვდებით. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ასეთებს ულმობელი ბრძოლა გამოუცხადა და რამდენიმე მწვრთნელი და სპორტსმენი კიდევაც დასჯა.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადება ფაქტიურად წინა სპარტაკიადის დამთავრებისთანავე დავიწყეთ, ინტენსიური საქმიანობა კი წელს გავაჩაღეთ — საქართველოს ნაკრების კანდიდატებს ნორმალური წვრთნის აყვანა პირობა შეექმნებინთ, ზრუნვას შემდეგშიც არ მოვაკლებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მთლიანი გუნდის მაღალი კლასის სპორტსმენებით დაკომპლექტებას ვერ შეძლებთ. გუნდში 78 მოზრდილი და 70 მოზარდი უნდა იყოს, სადღესისოდ კი შესაბამისად მხოლოდ 44 და 51 კანდიდატია შერჩეული. ვფიქრობთ, მოსკოვში საასპარეზოდ მხოლოდ ისინი წავიყვანოთ, ვისი იმედიც ნაღდად გვექნება, რომ ჩათვლას მოგვცემენ.

საქმე რაკი ნაკლოვანებათა მხილებაზე მიდგა, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, დიდ საწარმოთა ფიზკულტურულ კოლექტივებს, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა საბჭოებს უნდა ვუსაყვედურო, რომ ისინი მძლეოსნობის აღმავლობისთვის მეტისმეტად სუსტად ზრუნავენ.

ამბა რას ჰკავს, რომ სტუდენტთა რესპუბლიკურ ტურნირებში იშვიათად მონაწილეობენ თბილისის უცხო ენების, ბათუმის, სოხუმის, გორის, ცხინვალის, თელავის პედინსტიტუტების მძლეოსნები და როცა სარბიელზე გამოდიან, უხეირო შედეგებით კმაყოფილდებიან.

მაინც და მაინც დიდად სასიქადულო არც უნივერსიტეტს, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტებს აქვთ. მეტი მუშაობა მართებთ „დინამოსა“ და „ბურევესტნიკს“, რაც შეეხება „განთიადის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, „კოლმეურნეს“ საბჭოებს, არმიელთა სპორტკლუბს, განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის განყოფილებას, „სპორტის დედოფლის“ განვითარებაში ჩამორჩებიან.

განათლების სამინისტროს, მართალია, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში აქვს მძლეოსნური ჯგუფები, მაგრამ სუსტია მათი კონტროლი, იშვიათად აწყობენ ბავშვთა მასობრივ ტურნირებს, სპორტსაზოგადოებებში მუშაობა თვითდინებაზეა, ამიტომაც საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებში მძლეოსნობის განვითარებისათვის ძალზე ცოტა კეთდება.

საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების მზადებაში ხელშემშლელი მიზეზთა მხილებით თავის დაზღვევა კი არ გვინდა, არამედ ხარვეზებზე იმიტომ ვილაპარაკეთ, რომ ყველამ, ვისაც ეს შეუძლია, ვინც მოვალეა დაგვიხმაროს, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საქართველოს მძლეოსნებმა სპარტაკიადამდე დარჩენილი შვიდი თვე მაქსიმალურად გამოიყენონ, სრულყონ ფიზიკური და ტექნიკური მოშზადების დონე, რომ გარკვეული წვლილი შეიტანონ საქართველოს სპორტული დელეგაციის წარმატებაში.

ო. გელაშვილი.



■ ■ ■

სურათებზე: მარცხნივ — სამხტომში ოლიმპიადის, ევროპის, სსრ კავშირისა და საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი ვ. სანეევი, მარჯვნივ — 110 მეტრზე თარჯრმენში სსრ კავშირის ჩემპიონი იუნიორებში ა. მოშიაშვილი.

შ. ნანიტაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი **შოთა კალისტრატეს-ძე ნანიტაშვილი.**

შ. ნანიტაშვილი დაიბადა 1919 წლის 21 დეკემბერს ხარაგოულის რაიონის სოფელ ბაზალეთში რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში.

1938 წელს დაამთავრა თბილისის ავტომსაგზაო ტექნიკუმი. 1939 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში და გაგზავნილ იქნა ლენინგრადის საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც დამთავრა 1941 წელს.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ის სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა, 23 წლის ასაკში უკვე საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსი იყო და მონაწილეობდა კრასნოდარის მხარის, ტამანის ნახევარკუნძულის, ჩრდილოეთ კავკასიისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

1943 წელს ის სკკპ რიგებში შეივიდა. სამშობლოს წინაშე საბრძოლო და შრომითი დამსახურებისათვის შ. კ. ნანიტაშვილი დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მე-2 ხარისხის ორდენით და მედლებით, აგრეთვე „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკის“ ნიშნით.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შ. ნანიტაშვილმა გაატარა სამშობლოს ერთგულ სამსახურში. რომელ პოსტზეც კი უმუშავია მას, ყველგან იყო გულისხმიერი, მომთხოვნი, ამასთან უაღრესად თავმდაბალი და პრინციპული ამხანაგი და ხელმძღვანელი.

შ. ნანიტაშვილის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია და პარტიული კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საოლქო სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი

შოთა კალისტრატეს-ძე ნანიტაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ავსტრალიაში

სსრ კავშირის ჩემპიონები ო. ბოროზოვა და ა. მეტრეველი ჩოგბურთის ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში ავსტრალიაში გაემგზავრნენ, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ტურნირებში.

ვრნიაჩკა-ბანიაში

ბელგრადი, 15 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა მოჭადრაკემ ნანა ალექსანდრიამ მეთერთმეტე ტურში მოუგო მორიგ მეტოქეს და ჯერჯერობით კვლავ მეორე ადგილზეა იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში გამართულ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. ახლა ალექსანდრიას აქვს 8 ქულა. წინ კი აღის რუმინელი ალექსანდრა ნიკოლაუ — 8,5 ქულა.

სტარტზე გამოდიან პრეტენდენტები

ჰავრანის სამყარო, რომელიც ახლახან აღევნებდა თვალს საზონთაშორისო ტურნირის ბრძოლებს, ახლა უკვე ვარაუდობს, ვის რა შანსი ექნება პრეტენდენტთა მატჩებში. მეტოქეთა წყვილები იქვე პალმა დე მალიორკაში გამოვლინდა, როგორც კი დამთავრდა ტურნირი. ახლა დაგვლოდოთ მომავალ მატჩებს.

ალბათ ვერავინ იტყვის თამამად, თუ ვინ გაიმარჯვებს ვიქტორ კორჩნოი — ეფიმ გელერის, ტიგრან პეტროსიან-რობერტ პიუბნერის, რობერტ ფიშერ-მარკ ტაიმანოვისა და ბენტ ლარსენ-ვოლფგანგ ულმანის მომავალ მატჩებში. ჯერჯერობით შეგვიძლია მხოლოდ „ვიმკითხაოთ“ და გავიხსნოთ ზოგიერთი საინტერესო დეტალი. ტაიმანოვის თქმით, იგი მხოლოდ ორჯერ შეხვედრია ფიშერს. მათი პირველი პარტია თერთმეტი წლის წინათ ბუენოს-აირესში — ყაიმით დამთავრდა, მეორე — ამას წინათ, საზონთაშორისო ტურნირზე, ფიშერმა მოიგო.

22 წლის კელნელ სტუდენტს პიუბნერის მიაჩნია, რომ არა აქვს წარმატების შანსი. „უკეთესი იქნებოდა ლარსენთან, ფიშერთან ან სხვა ვინმესთან შეხვედროდა თამაში...“ — თქვა მან. პეტროსიანსა და პიუბნერს ჯერ არ უთამაშიათ ერთმანეთთან.

„რა აზრი აქვს საბჭოთა საჭადრაკო დელეგაციას საზონთაშორისო ტურნირის შედეგის გამო? — ასეთი კითხვით მიმართა საკდესის კორესპონდენტმა გროსმაისტერ პაულ კერესს.

— ტურნირის შედეგი, — თქვა კერესმა, — ჩვენთვის დამაკმაყოფილებელია. ჩვენი გროსმაისტერების ნახევარი — ოთხიდან ორი — გავიდა მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის შემდგომ ეტაპში. პრეტენდენტთა ტურნირში მათ შეუერთდება კიდევ ორი საბჭოთა გროსმაისტერი. მაშასადამე, უკვე ახლა პრეტენდენტთა ნახევარს ჩვენი მოჭადრაკეები შეადგენენ. პერსპექტიულია კიდევ დამატებითი მატჩი ვასილ სმისლოვისა და ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი) შორის, რომელიც გამოარკვევს, რომელი მათგანი უნდა გამოვიდეს პრეტენდენტთა ტურნირში, თუ რომელიმე ახლანდელმა მონაწილემ უარი თქვა თამაშზე...

...პაულ კერესს არ შეიძლება არ დავეთანხმო. განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, რა ძლიერი იყო საზონთაშორისო ტურნირის შემადგენლობა და როგორი დაძაბული ბრძოლა წარმოედა.

ახლა ჭადრაკის მოყვარულთ გუთმბობთ, როგორ განსაზღვრეს მეოთხედფინალისტთა წყვილები. თავდაპირველად კოეფიციენტების ცხრილის დახმარებით არბიტრებმა განსაზღვრეს ყველას ადგილი, ვინც პირველ ექვსეულში მოხვდა. სამი მოჭადრაკიდან, რომლებმაც თხუთმეტ-თხუთმეტი ქულა მოაგროვეს, ლარსენს ხვდა მეორე ადგილი, გელერს — მესამე და პიუბნერს — მეოთხე. მონაწილეთა დუეტში, რომლებსაც თოთხმეტ-თოთხმეტი ქულა აქვთ, მეხუთე ადგილი მიეკუთვნა ტაიმანოვს, მეექვსე — ულმანს. ყოველივე ეს საკირო იყო წოლიოსურისათვის. პეტროსიანს უკვე ჰქონდა პირველი ნომერი, კორჩნოის — მეორე, საზონთაშორისო ტურნირში გამარჯვებულს მისცეს მესამე, მეორე პრიზონის — მეოთხე. ჰიუბნერმა ამოიღო მეხუთე ნომერი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მეტოქე აღმოჩნდა, გელერს მეექვსე ნომერთან ერთად „ხვდა“ კორჩნოი, ტაიმანოვს — მეშვიდე ნომერი და ფიშერი, ხოლო ულმანს — მერვე ნომერი და ლარსენი.

დასასრულ მოვიყვანთ საზონთაშორისო ტურნირის ზოგიერთი მონაწილის გამონათქვამს:

ფიშერი: „ჩემი გამარჯვებით კმაყოფილი ვარ. პრეტენდენტთა მომავალი მატჩების შედეგის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ჰიუბნერი ამ ტურნირის აღმოჩენაა“.

ლარსენი: „ჩემი თამაშით ტურნირზე არა ვარ კმაყოფილი, მაგრამ პრეტენდენტთა შეჯიბრებაში გავიმარჯვებ და შევხვდები სპასკის. ჰიუბნერი ტურნირის დიდი მოულოდნელობაა. ჩემთვის მოულოდნელი იყო აგრეთვე ის, რომ პრეტენდენტთა ტურნირში ვერ მოხვდა პორტიში“.

გელერი: „კმაყოფილი ვარ შედეგით, მაგრამ თამაშით კი არა. პარტიებში შეცდომები დავუშვი“.

ჰიუბნერი: ჩემი მიზანი იყო ქულთა ორმოცდაათი პროცენტის მოგროვება მიღწეული შედეგით, თავისთავად ცხადია, ძალიან კმაყოფილი ვარ“. (საკდესის კორ.).

ასპარეზოგათა პანორამა

● **მოჭადრაკე** ვაჟთა რიგის საკავშირო ჩემპიონატზე გაფლილი დისტანციის თითქმის ორი მესამედი. 13 ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

10 ქულით ლიდერობას ოდესელი მოჭადრაკე ვლადიმერ ტუკმაკოვი ინარჩუნებს. გროსმაისტერ კორჩნოის 9 ქულა აქვს. დანარჩენ მოჭადრაკეთა მდგომარეობა ასეთია: ბტეხი, პოდგაეცი, ბაგიროვი — 8-8 ქულა, დოროშკევიჩი, ბალაშოვი — 7,5-7,5, ავერბახი, გიპსლისი, სავონი — 7-7, კარპოვი — 6,5, ლიბერზონი, დემენტიევი, ხოლმოვი, ზაიცევი — 6-6, პლატონოვი, ვაგანიანი, მიკენასი — 5,5-5,5, კარასევი, ანტოშინი — 5-5, ცეიტლინი — 3,5, მოისეევი — 3 ქულა.

გუშინ ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებდნენ, დღეს შედგება მე-14 ტური.

● **ვოროშილოვგრადის** „ზარიას“ ფეხბურთელთა გუნდმა დაამთავრა ტურნე ეთიოპიაში. უკანასკნელი, რიცხვით მესამე შეხვედრა საბჭოთა გუნდს ჰქონდა ადის-აბებაში ეთიოპიის ნაკრებთან და გაიმარჯვა 3:0.

● **პარიზში** გაიმართა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და საფრანგეთის „რესინგის“ მეორე მერვედფინალური მატჩი ფრენბურთში. ვაჟთა გუნდებისათვის ევროპის ჩემპიონთა თასზე. გაიმარჯვეს საბჭოთა ფრენბურთელებმა 3:2 და მეოთხედ ფინალში გავიდნენ.

● **სტამბულში** შედგა ევროპის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში თურქეთისა და ალბანეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვა თურქეთის ნაკრებმა ანგარიშით 2:1.

● **კიევში** გაიმართა უმაღლესი ლიგის „ალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი კიევისა და რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს შორის. წარმატება კიელელებს ხვდათ 78:67.

განსასჯელის სკამზე—ფაშიზმი

ლენინგრადი, 14 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დღეს ლენინგრადში დამთავრდა სამშობლოს მოღალატეთა ჯგუფის სასამართლო პროცესი.

სასამართლომ განსაკუთრებით სასტიკად და არაადამიანურად ცნო ი. მოროზოვისა და ა. ლიაპჩენკოს ბოროტმოქმედება და მათ სიკვდილი მიუსაჯა. დანარჩენ სამს ა. სტროგანოვს, კ. სამარენკოვსა და კ. ვინოგრადოვს, რომლებიც აგრეთვე პირადად მონაწილეობდნენ პარტიზანების, მზვერავებისა და პატრიოტების დამხმარე კოლმეურნეების ხოცვა-ყლეტაში, მიუსაჯეთ თითოეულს თხუთმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა.

როგორც ლენინგრადის ლენინის ორდენოსანი სამხედრო ოლქის ტრიბუნალში ცხადდა სასამართლო გამოძიებამ, ხუთივე დამნაშავე ომის წლებში ნებაყოფლობით გადავიდა მტრის მხარეზე და შევიდა საიდუმლო საველე პოლიციის რაზმში. („გუმ-520“).

თბილისის № 31 რკინიგზის პროფტექნიკური სასწავლებელი

1. ელმავლის მემანქანეები (აღნიშნული სპეციალობაზე მიიღებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულნი, საშუალო განათლების, 30 წლის ასაკამდე, ძირითადად ქ. თბილისში მცხოვრები, უპირატესობა მიეცემა ა/კ რკინიგზის სამმართველოდან მივლინებულთ აღნიშნულ სპეციალობაზე ჩარიცხულნი მიიღებენ სტიპენდიას დადგენილი წესის თანასწორად).

2. ელმავლის მემანქანის თანაშემწეები, 3. ელმავლის შემკეთებელი ზეინკლები (სპეციალობებზე მიიღებიან ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდები არასრული საშუალო განათლებით და იქნებიან მთლიან სახელმწიფო კმაყოფაზე — სამაცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-1971 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე.

ჯერადი კვება, ჩაცმა-დახურვა და სხვა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურება. საერთო საცხოვრებლით სასწავლებელი არ აკმაყოფილებს).

ყველა მო